# უნგრეთმა იცის საქართველოს ფასი!



„მიმდინარე წელს მეოთხე შეხვედრა პრემიერ-მინისტრ კობახიძესთან. უნგრეთი და საქართველო, ორი სუვერენული ქვეყანა უარს ამბობს, იყოს პაიკი ვინმეს ომში. ჩვენ უარვყოფთ შანტაჟს, ვეწინააღმდეგებით ზეწოლას და ვირჩევთ ზრდის, ენერგოუსაფრთხოებისა და უფრო მჭიდრო თანამშრომლობის გზას. მოდით, შევუდგეთ მუშაობას“!




# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№83 (9914) 2025 წლის 13 ივნისი, პარასკევი




# კიევი და ევროპა, უამერიკოდ, რუსეთს დაამარცხებს?!

იხ. 8 გვ.



6

## ჰოდა, აქა ამბავი კაცისა, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელი არ მოაწერა!

## ტუსკი საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერებას მოითხოვს!

3

## ვინ არის სოციალ-კონსერვატორი, ორმეტრიანი ფრიდრიხ მერცი?!



8

## როგორ ჩაგვყლაპა გლობალიზაციამ!

## სოფელი მოთმინებით გველოდება!

5



7

## გია ქორქაძის მთელი ცხოვრება მუსიკა და პედაგოგობაა...



4

# არ ენდოთ „წამალთმცოდნე“ თაღლითებს!

## მსოფლიო გამყინვარებას გადარჩენილები

9

საქართველოს რესპუბლიკა
მეგობრობის სტრატეგია
№83. პარასკევი, 13 ივნისი, 2025 წელი

# მხდალ ერს ფასი არა აქვს!

## ვიქტორ ორბანი:

„მე და საქართველოს პრემიერ-მინისტრი შევთანხმდით, რომ სტრატეგიულ თანამშრომლობას გავაგრძელებთ ორ ქვეყანას შორის. ეს იყო მეორე მთავრობათაშორისი სამიტი. პირველი იყო საქართველოში, ჩვენი მასპინძელი იყო საქართველოს მთავრობა. ახლა ჩვენ ვართ მასპინძლები. გულთბილი მადლობა გადავუხადე საქართველოდან ჩამოსულ მთავრობას. თქვენ ხართ შესანიშნავი სტრატეგიული პარტნიორი. დიდი მადლობა“!

## ირაკლი კობახიძე:

მინდა, მადლობა გადაგიხადოთ საქართველოს ევროპული გზის მხარდაჭერისთვის. ჩვენ გვაქვს ძალიან მკაფიო და ამბიციური მიზანი – 2030 წლისთვის საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ჩვენ, უკვე 2028 წლისთვის, დაგეგმილი გვაქვს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების 90 %-ის შესრულება, ასევე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების 90 %-ის შესრულება და ამ კუთხითაც, თუნდაც საექსპერტო თანამშრომლობა, ნებისმიერი მიმართულებით თქვენი მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნის მიმართ არის ძალიან მნიშვნელოვანი.

### უნგრეთის პრემიერ-მინისტრი:

## გლობალისტებთან შედარებით, ორ წელიწადში ჩვენ ვიქნებით უმრავლესობაში და საქართველოს მომავალიც ძალიან ნათელი იქნება, გაიხსნება ყველა კარი, მათ შორის, ევროკავშირის...

– **საქართველოს მივიჩნევ შესანიშნავ ქვეყნად.** უნგრელებისთვის არსებობს ძალიან ბევრი გრძნობა და ცნება, ყველაზე ძვირფასი არის მამაცობა. უნგრეთში არის ასეთი გამოთქმა – მხდალ ერს არა აქვს ფასი. საქართველო ამის ფონზე არის პატივსაცემი ქვეყანა ჩვენი მხრიდან. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რამდენიმე დღეში ჩამოვედი საქართველოში, უნგრეთი იყო ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყანა და წარმოიდგინეთ, რამხელა ენერგია შემოვიტანე საქართველოში. მე გამიკვირდა, როგორი განწყობა ვნახე საქართველოში.

უნგრეთში სასწაული ხდება, წნეხის და ძალების გადანაწილების კუთხით, სოროსის ფონდი რასაც აკეთებს და მინდა, ვთქვა, რომ ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველოს ხელისუფლება გადააგდოს, არადა საქართველოს ხელისუფლება ქართველი ხალხის მიერ არის არჩეული, იგივე ხდება უნგრეთშიც, ოღონდ სხვა მასშტაბით. მიმაჩნია, რომ ქვეყანას, რომელსაც უპირისპირდებიან გლობალისტები, მორალური ვალდებულება აქვს, ჩვენც იგივე რეჟიმში ვართ, ჩვენ უნდა დავდგეთ მტკიცედ ამ გლობალისტების წინააღმდეგ. ჩემი მოსაზრება ასეთია, რომ გლობალისტები მარცხდებიან და მომდევნო პერიოდში კიდევ უფრო დამარცხდებიან ყველა კონკრეტულ ქვეყანაში – ევროპაში, რადგან კარებზე როდესაც გვესმის კაკუნი, ეს უნდა იყოს მეგობრული კაკუნი.

ორ წელიწადში რომ შევხვდებით ერთმანეთს, კიდევ უფრო სხვანაირი იქნება ვითარება, გლობალისტები არიან სხვა პროგრამის მხარდამჭერი და ორ წელიწადში ჩვენ ვიქნებით უმრავლესობაში და საქართველოს მომავალიც ძალიან ნათელი იქნება, ყველა კარი გაიხსნება, მათ შორის ევროკავშირის კარი, მე ასე ვხედავ“!..

* * *

– **ჩვენ ასეთი შეხვედრები უფრო ხშირად დაგვჭირდება, ამ დღეებში მივიღე ევროპიდან დელეგაცია, რომელიც ნამდვილად არის ძალიან დიდი სიამოვნება.** საუბარი მაქვს საქართველოს დელეგაციაზე. ყველას შურს მათი, ჩვენც გვშურს საქართველოსი – 7-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა, ღმერთო ჩემო, ეს ხომ დიდი მიღწევაა. კლებადი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, კლებადი სახელმწიფო ვალი. ამ წლების განმავლობაში ასეთი შედეგების მქონე პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა ჩვენთვის დიდი პატივია. ასეთი შედეგების გაზიარება ჩვენთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ასეთი შედეგების მიღწევა ძალიან დიდი ნახტომია წინ.

ალბათ არ იყო ეს იოლი, მაგრამ ჩვენც, უნგრელებს გვექნებოდა დიდი პატივი, ასეთი შედეგი გვქონოდა. 2022 წელს გლობალური მეინსტრიმ ლიბერალები ცდილობდნენ, ჩვენთვის და თქვენთვის შეეშალათ ხელი და ჩვენს ქვეყნებში არ ყოფილიყო ისეთი მთავრობები, როგორიც ახლა ვართ.

დღესაც გვიწევს მათთან ბრძოლა, უბრალოდ იმიტომ, რომ საქართველოს მთავრობა მათთვის არის ის მხეცი, რომელთანაც ბრძოლა ეშინია ევროკავშირს, ბრიუსელს. საქართველო არის პირველი, რომელმაც გაუწია წინააღმდეგობა. ეს ემოცია ჩვენთვის არის საერთო. რა თქმა უნდა, ჩვენც გვინდა ამხელა ეკონომიკური ზრდა, მაგრამ დრო მოვა და ჩვენც გვექნება“!..

* * *

– **„სექტემბერში 50 საჯარო მოხელე გვეყოლება გადამზადებული საქართველოდან და უნგრელ ექსპერტებსაც გავაგზავნით საქართველოში.** დღეს ჩვენ საუბარი გვქონდა ეკონომიკურ მიმართულებაზე, მიღწევებზე, თანამშრომლობაზე და მადლობას ვუხდით ქართველ მეგობრებს. უნგრული ავიაკომპანია „ვიზეარი“ არის საქართველოში საავიაციო ბაზრის ლიდერი.

28 მიმართულებით დაფრინავს საქართველოს ჰაბიდან. მოხსნა ყველა რეკორდი და პირველად ისტორიაში 100 მილიონ დოლარს გადააჭარბა მისმა მაჩვენებელმა. ეს განსაკუთრებული მადლობის მიზეზია. ასევე, ჩვენ გავზარდეთ ტვირთბრუნვა და ვაჭრობა საქართველოსთან. ფარმაციული პროდუქცია საქართველოში ჩვენგან გადის ექსპორტით. ჩვენ თანამშრომლობას ვავითარებთ ენერგეტიკის სფეროში. ჩვენ გაგვაჩნია კომიტეტები, ერთობლივი კომიტეტი და მუშა ჯგუფი არის ხუთი ქვეყნისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რის შედეგადაც ხუთივე ქვეყანა ცდილობს, მწვანე ელექტროენერგია, რომელიც კავკასიაში იწარმოება, შემოვიდეს უნგრეთში და ჩვენგან შევიდეს ევროკავშირში. ამ პროექტის ფარგლებში ძალიან კარგი მიზეზი გვაქვს, რათა ეს თანამშრომლობის ენერგეტიკა კიდევ უფრო გავზარდოთ, განვავითაროთ. უკრაინელებმა, რომლებმაც გადაკეტეს ყველა არხი ენერგეტიკის მიწოდებისა ევროკავშირის მიმართ, ამ პირობებში ჩვენი ეს ინიციატივა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება. ჩვენი მარშრუტი იქნება ეკონომიკური საქმიანობისთვის ძალიან ძლიერი. მსგავსი გადაწყვეტილებები მომავალშიც გვექნება“!..

* * *

– **„ჩვენ ყოველთვის საქართველოს მოკავშირედ ვგრძნობთ თავს და ევროკავშირის წინაშე წარმოვადგენთ საქართველოს ყველა იმ ბრძოლაში, რომლითაც საქართველო იბრძვის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის დასაცავად.** მიუხედავად იმისა, რას ფიქრობს ბრიუსელი, ჩვენ ვთანხმდებით, რომ ყველაფერს გავაკეთებთ საქართველოს დასახმარებლად, რათა ევროკავშირისკენ გზაზე მტკიცედ იაროს“!

* * *

– **„მთავრობათაშორისი სამიტი მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატია.** სულ ორი-სამი ქვეყანაა, ვისთანაც ასეთი მეგობრული ურთიერთობები გვაქვს და ამ ფორმატში ვთანამშრომლობთ. ამ ფორმატში განვიხილავთ სხვადასხვა სამინისტროს შორის თანამშრომლობის საკითხებს და ეს არის ნიშანი, რომ არა ცალკეული სამინისტროები, არამედ მთლიანად, მთელი მთავრობა თანამშრომლობს ჩვენს მთავრობასთან.

ეს არის იშვიათი მოვლენა ჩვენს პრაქტიკაში და მინდა, ვთქვა, რომ საქართველოსთან, თქვენთან თანამშრომლობა, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ უნგრელები პატივს სცემენ ისტორიას და თქვენ გაქვთ საოცარი ისტორია. თქვენი ქრისტიანული ისტორია გაცილებით დიდია, ვიდრე ჩვენი. ძალიან დიდი პატივია თქვენთან თანამშრომლობა, რამდენადაც ორივე ქვეყანას გვიყვარს თავისუფლება. მიყვარს სამშობლო, ვარ ჩემი ქვეყნით ამაყი – ასეთი ფრაზები უკვე სირცხვილად ითვლება დასავლეთში და აღარ გამოიყენება, მაგრამ ჩვენ მაინც გვიყვარს ამ სიტყვების თქმა და სიამოვნებით ვმასპინძლობთ სტუმრებს, რომლებსაც ასეთივე გრძნობები და სენტიმენტები გააჩნიათ ამ ფრაზების მიმართ. თქვენი ვიზიტი არის ჩვენთვის დიდი პრივილეგია იმ შედეგების გამო, რაც გაქვთ ქვეყანაში. ევროპული ეკონომიკა ახლა ძალიან ზიანდება. თუ ვინმეს აქვს 1%-ზე მეტი ეკონომიკური ზრდა, ეს არის დიდი მიღწევა. აქედან გამომდინარე, თქვენი 7%-იანი ზრდა არის გალაქტიკური მოვლენა. ვიცი, რომ ეს ნამდვილად არის თქვენი ძალისხმევის უდიდესი შედეგი. ყოველთვის დიდი პატივია მოგესალმოთ და გიმასპინძლოთ უნგრეთში“!..



### საქართველოს პრემიერ-მინისტრი:

## საქართველოსა და უნგრეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას ძალიან დიდი პოტენციალი აქვს

**„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების შემდგომი განვითარება.**

ამ მიმართულებითაც გვაქვს ძალიან კარგი დინამიკა, თუმცა რესურსი კიდევ უფრო მეტია. ჩვენს ინტერესებშია, რომ მაქსიმუმი გავაკეთოთ ამ პოტენციალის მაქსიმალურად ასათვისებლად. ვფიქრობთ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას აქვს ძალიან დიდი პოტენციალი.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის დარგობრივი თანამშრომლობის გაღრმავება. დღეს აქ წარმოდგენილია მთავრობის მთლიანი შემადგენლობა და ჩვენთვის ყველა სფეროში საინტერესოა თანამშრომლობა, ისეთ სფეროებში, როგორიც არის ენერგეტიკა, დაკავშირებადობა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, განათლება, კულტურა, სამართალდამცავი სფერო, იუსტიცია, ჯანდაცვა, ყველა მიმართულებით ვართ ძალიან დაინტერესებული, რომ კიდევ უფრო მეტად გავაღრმაოთ თანამშრომლობა.

ამისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ორმხრივი კომისიის დარგობრივი ფორმატებიც კიდევ უფრო მეტად განვითარდეს და ჩვენი სურვილია, რომ ამ კუთხით თანამშრომლობა კიდევ უფრო მეტად გავაღრმაოთ. ასევე მოხარული ვართ, რომ ვითარდება სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს ქვეყნებს შორის პარტნიორობასთან და ამ მიმართულებითაც მზად ვართ მაქსიმალური თანამშრომლობისთვის.

* * *

– **ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია, დღეს თქვენთან ერთად ყოფნა. პირველ რიგში, მადლობა მინდა გადაგიხადოთ გულთბილი მასპინძლობისათვის, სამიტის ორგანიზებისთვის.** ჩვენთვის სამაგალითოა თქვენი ლიდერობა, ის, როგორ უძღვებით თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის საქმეს, როგორ ზრუნავთ უნგრეთისა და უნგრელი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვაზე, უნგრეთის იდენტობის დაცვაზე.

ჩვენი გადმოსახედიდან, ჩვენ გვაკავშირებს საერთო ღირებულებები და ეს ღირებულებითი ერთიანობა, ვფიქრობთ, არის ის, რაც აძლიერებს პარტნიორობასა და მეგობრობას ჩვენს ქვეყნებსა და ხელისუფლებებს შორის. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და გადაგიხადოთ განსაკუთრებული მადლობა საქართველოს ძალიან ძლიერი მხარდაჭერის-

დღეს – ხვალისთვის

საქართველოს რესპუბლიკა

თვის. პირველ რიგში, მადლობა იმისთვის, რომ მხარს უჭერთ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ასევე, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადაგიხადოთ საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე თქვენი მხარდაჭერისთვის.

როდესაც საქართველომ შეძლო კანდიდატის სტატუსის მიღება, ამაში თქვენი დამსახურება იყო განსაკუთრებული და, დღესაც, როდესაც ვაგრძელებთ ჩვენს გზას ევროკავშირის მიმართულებით, ჩვენი ქვეყნისა და ქართველი ხალხისთვის თქვენს მხარდაჭერას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მინდა, პირადად თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, გადაგიხადოთ ძალიან დიდი მადლობა და მადლობა მთლიანად სამთავრობო გუნდს, უნგრეთის ხელისუფლებას, რომელიც იცავს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს საერთაშორისო დონეზე.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ორმხრივი თანამშრომლობის განვითარება უნგრეთსა და საქართველოს შორის, ჩვენ გვაქვს ძალიან მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა, ძალიან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობები, რაც, მათ შორის, გამოიხატება იმაში, რომ გვაქვს ძალიან ხშირი შეხვედრები, ვიზიტების ინტენსიური გაცვლა და ჩვენს ინტერესებშია, რომ ეს პოლიტიკური თანამშრომლობა კიდევ უფრო მეტად გავაღრმაოთ და განვავითაროთ. სამიტის ფორმატი ამის ძალიან კარგი შესაძლებლობაა“.

* * *

– **ᲒᲐᲠᲓᲐ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ.** არაერთხელ ვიხილეთ ექსტრემიზმის დაფინანსების პრაქტიკაც ისეთი ინსტიტუციების მხრიდან, რომელიც დაკავშირებული არიან ევროპულ ბიუროკრატიასთან. ჩვენ ვიხილეთ საპარლამენტო არჩევნების წინ, საარჩევნო პროცესებში ჩარევის პირდაპირი პრეცედენტები.

ზოგადად ვხედავთ, რომ სათანადოდ არ სცემენ პატივს საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს, რაც ჩვენთვის ძალიან დასანანია. ჩვენთვის ევროკავშირი წლების განმავლობაში იყო სამართლიანობის სიმბოლო და გვინდა, დარჩეს მომავალშიც სამართლიანობის სიმბოლოდ, თუმცა ევროპული ბიუროკრატია, სამწუხაროდ, ყველაფერს აკეთებს ხოლმე, რათა ჩვენი დამოკიდებულება და განწყობა შეიცვალოს“.

იმედს გამოვთქვამთ, იმ დროისთვის, როდესაც საქართველო მზად იქნება ევროკავშირში გასაწევრებლად, ეს დამოკიდებულება შეიცვლება. ბატონმა პრემიერ-მინისტრმაც გამოთქვა ოპტიმიზმი, რომ დადებითი მიმართულებით შეიცვლება მოვლენების განვითარება ევროპაში და ჩვენც გვინდა, გამოვთქვათ ასეთი ოპტიმიზმი.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ დამოკიდებულების ცვლილება, რადგან გვაქვს ძალიან მკაფიო საგარეო პოლიტიკური მიზანი – ეს არის ევროკავშირში გაწევრება. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვინდა, გავწევრიანდეთ სამართლიან ევროკავშირში, სადაც ბიუროკრატია და პოლიტიკოსები სამართლიანად აფასებენ მოვლენებს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. ეს არის ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი“!

# ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲛᲐᲪ ᲒᲐᲑᲕᲬᲘᲠᲐ?!



**ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ, ᲐᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲐᲘᲡᲐᲮᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲘᲓᲔᲐ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲛ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲐ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲛ** ქართველ ჟურნალისტებს ბუდაპეშტში გუშინ განუცხადა.

**„დიდი ბრიტანეთი, კონკრეტულად ინგლისი, არის ქვეყანა, სადაც ჩაისახა სამართლიანი სახელმწიფოს იდეა, სამართლიანობის იდეას მიეცა სხვა დატვირთვა და აქედან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებულად გასაკვირია ის, რომ დიდი ბრიტანეთის მხრიდან ვხედავთ ამ მასშტაბის უსამართლობას და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულებას.**

**ჩვენ გვჭირდება სამართლიანი და ჯანსაღი დამოკიდებულება. როდესაც კონკრეტული კითხვები ისმის იგივე პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან, რაც ფაქტებზეა დაფუძნებული, ჩვენ გვჭირდება ამასთან დაკავშირებით ჯანსაღი და მკაფიო, ფაქტებზე დაფუძნებული პასუხი, თუმცა ვხედავთ, რომ არ ისმის არავითარი ფაქტებზე დაფუძნებული პასუხი, ერთადერთი ვისმენთ კვლავ შანტაჟს, მუქარას, ვხედავთ ექსტრემიზმის მხარდაჭერას, არჩევნებში უხეშად ჩარევას, ეს არის ძალიან სამწუხარო. ჩვენ მზად ვართ და ღია ვართ კონსულტაციებისთვის.**

**იმედი გვაქვს, რომ ბრიტანეთის მხრიდან, ასევე სხვა ევროპული ქვეყნების მხრიდან შეიცვლება დამოკიდებულება ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს მიმართ!“**

# ᲢᲣᲡᲙᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲕᲘᲖᲝ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ!



**ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲝ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲪᲕᲚᲔᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲕᲐᲛᲪᲘᲠᲝᲗ,** – ამის შესახებ პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა **ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲣᲡᲙᲛᲐ** პარლამენტში მთავრობისთვის ნდობის საკითხზე კენჭისყრამდე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ტუსკის თქმით, საჭიროა უმრავლესობა, რათა შეიზღუდოს ან შეჩერდეს უვიზო მიმოსვლა, მათ შორის, საქართველოსთან.

**„კარგად ვიცი, რას ნიშნავს უკანონო მიგრაცია პოლონეთის, ევროპის მომავლისთვის, ჩვენი ცივილიზაციის მომავლისთვის. აბსოლუტურად მზად ვარ, გამოვიყენო ყველა ხელმისაწვდომი მეთოდი საერთაშორისო სამართლის შესაცვლელად, რომ უკანონო მიგრაციის რისკი, მიგრაციის ეს ტალღა მინიმუმამდე შევამციროთ. ჩვენ თითქმის ყოველდღიურად ვახორციელებთ უცხოელების დეპორტაციას. ოთხი დღის წინ 50 ქართველი იქნა დეპორტირებული, რომლებიც ეჭვმიტანილი იყვნენ დანაშაულებრივ საქმიანობაში. საჭიროა უმრავლესობა, რათა შევზღუდოთ ან შევაჩეროთ უვიზო მიმოსვლა, მათ შორის, საქართველოსთანაც. დიახ, ეს ჩემი განზრახვაა. სრული გააზრებით ვაცხადებ, რომ ქართველების მესამედი არიან ადამიანები, რომლებიც ძალიან ისურვებდნენ ჩვენი ღირებულებების გაზიარებას, მაგრამ ჩვენ ვიცით, რაში მდგომარეობს პრობლემა.**

**აქ მხოლოდ საქართველოზე არ არის საუბარი. ბოდიშს ვიხდი იმ ქართველების წინაშე, რომლებმაც თავი, შეიძლება, შეურაცხყოფილად იგრძნონ, მაგრამ მე მტკიცედ ვემხრობი უვიზო მიმოსვლის შეჩერებას იმ ქვეყნებთან, რომლებიც, როგორც საქართველოს შემთხვევაში, აღარ შეესაბამებიან სტანდარტებს ავტორიტარული მმართველობის გამო ან საიდანაც მიგრაცია თავისთავად საფრთხეს ქმნის ჩვენი ქვეყნის ან ევროპის სამართლებრივი თუ საზოგადოებრივი წესრიგისთვის“.**

# ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲔᲗ ᲛᲣᲥᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲜᲢᲐᲟᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ!

**ᲒᲣᲨᲘᲜ ᲩᲕᲔᲜ, ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲔᲗ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲥᲐᲠᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲐᲪ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲐᲠ ᲐᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲘᲛᲘᲯᲔ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲛ** ბუდაპეშტში ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა.

**„მე იმედი მაქვს, რომ მომავალში დამოკიდებულება შეიცვლება. არ შეიძლება, ასე ემუქრებოდნენ ქართველ ხალხს იმის გამო, რომ ვიღაცებს არ მოსწონთ ქართველი ხალხის არჩევანი. ქართველმა ხალხმა გააკეთა თავისი არჩევანი შარშან, მან მხარი დაუჭირა ქვეყნის განვითარებას, ქვეყანაში მშვიდობას და საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას. მოსწონს თუ არა ვინმეს ეს არჩევანი, ყველამ პატივი უნდა სცეს მას და აბსოლუტურად უადგილოა მუქარები ქართველი ხალხის მიმართ.**

**მე ვფიქრობ, რომ ეს არის შანტაჟი, რომელიც გათვლილია იმაზე, რომ პროცესები სხვა მიმართულებით განვითარდეს ქვეყანაში, თუმცა, რეალურად, ყველა ხედავს, რომ ასეთი შანტაჟი, რომელიც უკვე მრავალი წელია გრძელდება, არ მოქმედებს ქართველ ხალხზე. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ზოგადად, შანტაჟი შანტაჟად დარჩება, თუმცა ასეც და ისეც, ეს მუქარები არის ძალიან დასანანი და სამწუხარო“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

## ᲨᲐᲚᲕᲐ ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

# ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲛᲐ 2010 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲔᲚᲘᲢᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲣᲕᲘᲖᲝ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ!



**„ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲛᲐ 2010 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲔᲚᲘᲢᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲣᲕᲘᲖᲝ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ქართველი ხალხი კი, კიდევ 7 წელი გვალოდინეს ამის შემდეგ. 2017 წელს ჩვენთვის, ხალხისთვის გახდა უვიზო მიმოსვლა შესაძლებელი – მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში და იმუშავა იმისთვის, რომ ხალხს მიეღო უვიზო მიმოსვლა,** – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. პაპუაშვილი დიპლომატიური პასპორტების მფლობელებისთვის უვიზო მიმოსვლის შეზღუდვის შესახებ ევროკავშირის ელჩის განცხადებასაც გამოეხმაურა.

**„კარგი იქნება, თუ იტყვის, 2010 წლის საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლითაც დიპლომატიურ პასპორტებზე უვიზო რეჟიმი ვრცელდებოდა, რომელი მუხლის, რომელი პუნქტის საფუძველზე მიიღეს ეს გადაწყვეტილება. კიდევ ერთხელ ევროკავშირმა დაარღვია საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც 2010 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიდო დიპლომატიურ და სამსახურებრივ პასპორტებთან დაკავშირებით უვიზო რეჟიმზე. დაარღვია და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო პოლიტიკური, სადამსჯელო გადაწყვეტილება, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს იმ არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ბრიუსელის ბიუროკრატიაში, რომელიც მათ ქართველი ხალხის მიმართ აქვთ“...**

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲡ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲐᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ



**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ – Ე.Წ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲓᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲐᲠᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲐ.**

როგორც დედაქალაქის მერმა **კახა კალაძემ** გუშინ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, ბარათი მის მფლობელებს სთავაზობს 25 000-ზე მეტ ფასდაკლებას ევროპის 40 ქვეყანაში.

**„სულ მალე საქართველოში 18-დან 30 წლამდე ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი გახდება ევროპული ახალგაზრდული ბარათი – ე.წ. შესაძლებლობების ქარდი, რომელიც ევროპის მასშტაბით აქტიურად გამოიყენება და აერთიანებს 9 მილიონამდე ახალგაზრდას. პროგრამის მიზანია ახალგაზრდების ხელმისაწვდომობის ზრდა მობილობის, განთავსების, განათლების, სპორტის, კულტურის, გართობის სერვისებზე. ამისთვის ბარათი მის მფლობელებს სთავაზობს 25 000-ზე მეტ ფასდაკლებას ევროპის 40 ქვეყანაში.**

**ჩვენ ამ მიმართულებით ძალიან ბევრი ვიმუშავეთ და თბილისის მერია საქართველოში ევროპული ახალგაზრდული ბარათის ექსკლუზიური ლიცენზიორია. იმისთვის, რომ პროგრამა არა მხოლოდ თბილისის, არამედ ქვეყნის მასშტაბით მარტივად ხელმისაწვდომი გახდეს, თბილისის მერიასა და საქართველოს ბანკს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოეწერა.თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს ბანკი და თბილისის მერია 2025 წლის შემოდგომიდან ერთად უზრუნველყოფენ, რომ ამ შესაძლებლობით, რაც შეიძლება მეტმა ქართველმა ახალგაზრდამ ისარგებლოს“.**

# არ ენდოთ „წამალთმცოდნე“ თაღლითებს!




**ძვირფასო მკითხველო! ალბათ შეგიმჩნევიათ, მობილურ ტელეფონში (სოციალურ მედიაში) ყოველდღიურად ქვეყნდება სამედიცინო მიმართულების სარეკლამო ვრცელი განცხადებები უამრავი დადებითი კომენტარით, სხვადასხვა სერიოზული დაავადებების „განსაკურნებლად“ – ახლად შექმნილი პრეპარატებით.**

ვინაიდან ხანდაზმული ვარ, მეც დავინტერესდი ამ ახალი პრეპარატებით.

გუშინ მოსკოვში დავუკავშირდი ჩემს ძველ მეგობარს, მსოფლიოში სახელგანთქმულ კარდიოქირურგს, ლენინური პრემიის ლაურეატს, აკადემიკოს ლეო ბოკერიას, რომელიც მე რამდენიმე ათეული წლის წინათ გამაცნო ასევე, მსოფლიოში აღიარებულმა კარდიოქირურგმა, სოციალისტური შრომის გმირმა, თბილისში გაზრდილმა და ქართველებზე უზომოდ შეყვარებულმა აკადემიკოსმა ვლადიმერ ბურაკოვსკიმ.

ბატონ ლეოს გულწრფელად ვკითხე, რომ თქვენი სახელით გამოქვეყნებული სარეკლამო განცხადებები ახალ ეფექტურ პრეპარატებზე, მის გამოყენებაზე და დადებით შედეგზე თუ შეესაბამება რეალობას-მეთქი.

**მან მიპასუხა, რომ რეკლამები, რომლებიც სოციალურ მედიაში ქვეყნდება და მე მომაწერენ, არის მოგონილი, შეთხზული და ტყუილი. მე ამ თაღლითებისთვის ინტერვიუ არასოდეს მიმიცია. გთხოვთ, არ დაუჯეროთ ასეთ ცრუ რეკლამებს!!!**

...ნუთუ არავინ არ არის განმკითხავი, ეს მაფიოზები და სერიოზული თანხების გამომძალველნი ასე აშკარად რომ ცრუობენ და ატყუებენ მილიონობით პაციენტს? ჩემი აზრით, სასწრაფოდ, კატეგორიულად უნდა აიკრძალოს სხვადასხვა სენით დაავადებული ხალხის მიმართ ეს უტიფარი სიცრუე!

**კონკრეტულად ვის ევალება ამის გაკეთება, ჩვენს საზოგადოებაში თითქმის არავინ არ იცის! ალბათ, ისევ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა უნდა მიხედოს ამ სერიოზულ პრობლემას!**



**ომარ მარგველაშვილი,**
საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.

## საზოგადოება „ქართული“: მიგრაციის პოლიტიკის გამკაცრება საქართველოს ეროვნულ ინტერესებშია

საზოგადოება
ქართული

**საზოგადოება „ქართული“ მიესალმება „ქართული ოცნების“ მორიგ ინიციატივას, რომლითაც სისხლის სამართლის კოდექსს „უცხოელის საქართველოდან გაძევებისა და საქართველოში განსაზღვრული ვადით შემოსვლის აკრძალვის“ მუხლი ემატება. ეს დღეს საქართველოს ეროვნულ ინტერესებშია,** – ამის შესახებ საზოგადოება „ქართულის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

როგორც საზოგადოება „ქართულში“ აცხადებენ, უკონტროლო მიგრაცია გლობალური პრობლემაა, რომელიც მსოფლიოს არათანაბარი განვითარებითა და ნეოლიბერალური ინტერნაციონალის მიერ ცივილიზაციათა იდენტობის გაქრობის ვოიქური დოქტრინების წაქეზებითაა გამოწვეული.

**„თანამედროვე ევროპის მაგალითზე ჩანს, რომ ეს დიდ საფრთხეს უქმნის ტრადიციული ერების მომავალს. ქართველებს, როგორც ერთ-ერთ უძველეს ერს, როგორც დასავლეთის თითქმის ყველა კულტურულ ერს დღეს მწვავედ აწუხებს შობადობის შემცირებისა და მოსახლეობის გადაბერების დემოგრაფიული პრობლემები. მართალია, ქართველების წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 1989 წლის 71%-დან დღეისთვის 86%-მდე გაიზარდა, მაგრამ ქართველების საერთო რიცხვი 3.8 მილიონიდან 3.3 მილიონამდეა შემცირებული. ეს პროცესი მრავალმხრივი გლობალური და ლოკალური ფაქტორების ერთობლიობით არის განპირობებული, როგორებიცაა: ჩაკეტილი საზღვრების გახსნა, ვიზალიბერალიზაცია, შიდა კონფლიქტები და ომები რუსეთთან, დევნილების დიდი ნაკადი, ეკონომიკური სირთულეები და დაბალი შობადობა. ამ ყველაფერს ემატება გაზრდილი ემიგრაცია. საქართველოსაც, როგორც ევროკავშირის ბევრ და სსრკ-ის ყველა ყოფილ ევროპულ ქვეყანას, აწუხებს ახალგაზრდების გადინება. ამასთან, საფრთხის შემცველია ისიც, რომ, მკვიდრი მოსახლეობის რაოდენობის სტაგნაციის ფონზე, მატებაა იმიგრანტთა რიგებში. ეს ბუნებრივია პირობებში, როცა საქართველო არაერთი ქვეყნის იმიგრანტისთვის ევროპაში ტრანზიტის ხიდად იქცა. 2012 წლიდან დღემდე ქვეყანაში 272 ათასით მეტი უცხოელი შემოვიდა, ვიდრე გავიდა და, არაოფიციალური მონაცემებით, ამჟამად საქართველოში დაახლოებით 25,000 არალეგალური მიგრანტია“,** – ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, საზოგადოება „ქართულში“ მიიჩნევენ, რომ მიგრაციის სალდო დღეს ზომიერების ფარგლებშია, მაგრამ ინიციატივა იმითაა საინტერესო, რომ იგი პრევენციული ხასიათისაა და სამომავლო პერიოდზეა გათვლილი.

**„ამ პრობლემას ფართო განზომილება აქვს, რადგან მიგრაციის კონტროლი მხოლოდ ციფრებში კი არა, ქვეყნის კულტურულ, ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ უსაფრთხოებაში აირეკლება. ამიტომ დროული და სასიცოცხლოდ აუცილებელია „ქართული ოცნების“ ინიციატივის კანონად ქცევა, რადგან ევროპას სწორედ რომ სამართლებრივი ხვრელები და ნეოლიბერალური დოქტრინები უშლის ხელს უკონტროლო მიგრაციის აღკვეთაში.**

**საკანონმდებლო ინიციატივა საშუალებას მისცემს ქართულ სახელმწიფოს, აკონტროლოს მიგრაციის პროცესი და არ დაუშვას ქვეყნის ინტერესებისა და სუვერენიტეტის შელახვა. ანალოგიური პრობლემებია შრომით ბაზარზეც, რაც კარგად აჩვენა უცხოეთის მოქალაქეების არაჯანსაღი კონკურენციისაგან ქართველი კურიერების თუ ტაქსის მძღოლების ბაზრიდან განდევნის რეციდივებმა. მისასალმებელია, რომ პარლამენტი ამ საკითხზეც მუშაობს. ამაში კი უნდა მივბაძოთ ევროპას, რომელიც არალეგალებისგან საკუთარ შრომით ბაზარს მკაცრად იცავს“,** – ნათქვამია განცხადებაში.

## საქართველოს გენერალური აუდიტორი გიორგი გაბიტაშვილი გახდა

**11 ივნისს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გიორგი გაბიტაშვილის კანდიდატურას კენჭი უყარეს. მას მხარი 84-მა დეპუტატმა ერთხმად დაუჭირა.**



პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ორგანოა და შესაბამისად, გიორგი გაბიტაშვილს წარმატებას უსურვებს. გიორგი გაბიტაშვილი თანამდებობაზე ხუთი წლის ვადით დაინიშნა.

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ჯინჭარაძე გახდა



**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ახალი თავმჯდომარე ჰყავს. ამ თანამდებობაზე გიორგი ჯინჭარაძე აირჩიეს, რომელსაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ნდობა გამოუცხადა.**

მთავრობის ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს აფხაზეთის მთავრობის ახალი სამოქმედო გეგმა წარუდგინა.

გიორგი ჯინჭარაძე წლების განმავლობაში საჯარო სექტორში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, მათ შორის იყო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე.

გიორგი ჯინჭარაძემ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ლევან მგალობლიშვილი შეცვალა, რომელმაც თანამდებობა 2025 წლის 2 ივნისს საკუთარი სურვილით დატოვა.

საქართველოს რესპუბლიკა

# როგორ ჩაგვყლაპა გლობალიზაციამ!

**სოფელში რომ ჩავდივარ, სანამ ჩემს სახლამდე მივალ, სკოლა და სოფლის ცენტრი უნდა გავიარო.**

**ჩემს ბავშვობაში სოფლის ცენტრში იყო ორსართულიანი მაღაზია, სადაც იყიდებოდა ყველაფერი, რაც შეიძლება ადამიანს სჭირდებოდეს, იქვე იყო დიდი სასურსათო მაღაზია, წიგნის მაღაზია სოფლის კულტურის ცენტრი, თავისი ისტორიული შენობით, აფთიაქი, სამკერვალო, კუთხეში იჯდა მეწაღე თუ ხარაზი, ახლოსვე იყო ბიბლიოთეკა და, რაც მთავარია, იყვნენ ადამიანები და იყო ჩემი სკოლა, სადაც ზარი ყოველ დილას 400-მდე ბავშვს უხმობდა სასწავლებლად.**




## სოფელი მოთმინებით გველოდება!

**ახლა სოფლის ცენტრში ადამიანები აღარ ჩანან და სამარისებური სიჩუმეა, სკოლის ზარი თითქოს სადღაც შორიდან უმწეოდ ისმის, მთელ სკოლაში კი მხოლოდ 80 ბავშვია.**

მივდივარ, თვალებით ვეძებ სიცოცხლის ნიშანწყალს, მაგრამ ხმა არ ისმის: თითქოს დრო წავიდა და ხალხიც გაჰყვა... დაცარიელდა სოფლები. მიტოვებულ ეზოებში თვალებამოშავებული სახლები იმზირებიან ჩაბნელებული ფანჯრებიდან.

აქ არ ყოფილა ჭირიანობა, არც მტერი შემოსევია ძველებურად, რომ მოსახლეობა გაეწყვიტა, საქართველოს სოფლებში შემოიჭრა ადრინდელ მტრებზე უფრო საშიში და დაუძლეველი მტერიი – **ურბანიზაცია,** რომელმაც დახატა ახალი რუკა, რომელზეც გამქრალია ქართული სოფლები!..

ქართული სოფლის მცხოვრებლებმა სახლკარი დატოვეს არა იმიტომ, რომ საკუთარი მიწაწყალი მობეზრდათ, არამედ იმის გამო, რომ მეტი გზა არა აქვთ. დღეს სოფელში ცხოვრება ნიშნავს დროის წინააღმდეგ სვლას!

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფო პოლიტიკამ სოფლად მცხოვრებთათვის საქართველოში, პრაქტიკულად, ვერ შექმნა სტაბილური და პროგნოზირებადი გარემო – სოფელში ადამიანმა რომ იცხოვროს, საჭიროა არა მხოლოდ მიწა და ტრაქტორი, არამედ სტაბილური ბაზარი და შესაბამისი თანამედროვე სოციალური ინფრასტრუქტურა.

სწორედ იმ სისტემამ და ეკონომიკურმა ბერკეტებმა, რასაც ეყრდნობა გლობალიზმის ნაშიერი – **ურბანიზაცია,** „ამოწყვიტა" ქართველი გლეხკაცობა და გააჩანაგა და გააპარტახა ქართული სოფელი, ყველაფერმა ამან კი დააძაბუნა, დაასუსტა და ენერგიისგან დაცალა ქართული სახელმწიფო. ჩვენს მკითხველს ეხსომება დიდი ეკონომისტი კახა ბენდუქიძე, ნაციონალების მოძღვარი და მასწავლებელი. მან ერთხელ თქვა: **სოფელი საერთოდ არ გვჭირდება, მისი წვლილი ეკონომიკის განვითარებაში ჰა და ჰა, 5 პროცენტით განისაზღვროსო.**

სამწუხაროდ, იმ ცხონებულს არაფერი შეშლია და არც წამოცდენია – მან შეგნებულად და მიზანმიმართულად გაუგორა კოჭი გლობალისტებს, ნეოლიბერალებს, ნეოკოლონიალისტებს და ღიად უთხრა მათ: საქართველო თქვენია, აგერ, დახლზე დაგიდევით ჩვენ, ახლებურად მოაზროვნე პოლიტიკოსებმა და ეკონომისტებმა, მოდით და მოიხმარეთო.

საყოველთაოდ ცნობილია და პრაქტიკულადაც დადასტურებული, რომ გლობალურ ეკონომიკაში ადგილს მხოლოდ მასშტაბური მოთამაშეები იმკვიდრებენ, ისინი, რომელთაც შეუძლიათ ნებისმიერი სახის პროდუქცია შედარებით იაფად აწარმოონ და სწრაფად გადაანაწილონ. სოფელი კი სწორედ ანტითეზაა ამ სისტემის: იქ ყველაფერი პატარაა – ნაკვეთიც, რესურსიც, მოთხოვნაც. დღევანდელი მოთხოვნების ბაზარი არ წყალობს სოფელს. უფრო სწორად, გლობალური ბაზარი თვლის, რომ სოფელი არ არის „ეფექტური". სწორედ ასე „გლობალურად " აზროვნებდა ბენდუქიძე და ასევე დამოძღვრა თავისი მიმდევრები, ე.წ. „მედასავლეთეები", რომელთა საპირისპიროდ რაიმეს თუ იტყვი, მაშინვე რუსეთუმედ და ჩამორჩენილ კონსერვატორად გამოგაცხადებენ.

**ახლა აღარავის გვადარდებს, ვის რად ჩაგვთვლიან, ან ვის მიმდევრებად გამოგვაცხადებენ პოლიტიკურად და მორალურად სრულიად გაბანკროტებული ნაცები, მაგრამ ფაქტი ერთია: მათი მეგობარი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვა მსგავსი ინსტიტუციები წლების განმავლობაში სხვადასხვა რეკომენდაციებითა და სუბსიდირებით „ახალისებდნენ" ისეთ ქვეყნებს, როგორიც საქართველოა, ხსნიდნენ აქ ბაზრებს, რომ, ვითომდა, მინიმუმამდე დაეყვანათ სახელმწიფო სუბსიდიები კონკურენტუნარიანობის პრინციპის დაცვით.**

მაგრამ ვისთან უნდა გვქონოდა კონკურენცია – ნიდერლანდულ აგროინდუსტრიასთან, ბრაზილიელ სოფლის გიგანტებთან თუ ამერიკულ მულტინაციონალურ ფერმებთან?

ცხადია, ეს შეუძლებელი იყო და მოხდა ის, რასაც ვხედავთ. წლების განმავლობაში ბევრს ეცადა ქართველი გლეხი, დიდი ძალისხმევით მოიწია მოსავალი, მაგრამ, როცა თავისი პროდუქციის გაყიდვას შეეცადა, ბაზრის კარებთან, თვითონ რომ ყიდდა, იმავე სახის უცხოური პროდუქცია დახვდა, რომელიც მის საქონელზე გაცილებით იაფი ღირდა.

რამდენჯერმე ასე რომ განმეორდა, გლეხმაც საბოლოოდ ჩაიქნია ხელი სოფელზე და გადარჩენის ალტერნატიული გზების ძებნა დაიწყო: ზოგმა დიდ ქალაქებს მიაშურა, ზოგი საზღვარგარეთ გაიქცა, უპატრონოდ დარჩენილ მიწას კი ნელ-ნელა უცხოელები დაეპატრონნენ, მათ შორის უმეტესობა ჩინელი, ინდონეზიელი და არაბია, რომელთა რეპროდუქციული შესაძლებლობები საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ ამაზე სხვა წერილში ვისაუბროთ!

სოფლების დაცლის ტენდენცია ლოკალურ ტრაგედიაში გადაიზარდა, დაიწყო ოჯახების ნგრევა და თაობათა კავშირის რღვევა – დედა სხვაგან, მამა – სხვაგან, შვილები – ბებიასთან.

ქალაქების სულ რამდენიმე კვადრატულმეტრიან ბინაში უდედმამოდ გაზრდილი, მიწის სურნელს და ბუნების მშვენიერებას მოკლებული, სოფელში არდადეგებზეც რომ არ მიჰყავთ, კომპიუტერსა და ტელეფონებზე მიჯაჭვული, სულიერად გამოფიტული ბავშვები ცინიკურად ყვირიან დღეს „სოფელო, ჩემო სოფელო"!..

სამწუხაროდ, ისინი, ვეღარასოდეს შეიძენენ, ვეღარასოდეს დაინახავენ და შეიგრძნობენ იმ უმთავრესს, რაც მათ მშობლებს თავიანთმა მშობლებმა ესტაფეტასავით გადასცეს და დაუტოვეს – სოფლის გადაძახილს, სოფლურ მეგობრობა-მეზობლობას, სოფლისთვის დამახასიათებელ სადღესასწაულო რიტუალებს, ნადსა თუ მამითადს...

შეიძლება ვინმეს ჰგონია, რაც ქართულ სოფელს დაემართა, ყველაფერი არის ეპოქის სულისკვეთება და დროის შედეგი, მაგრამ არ არის ასე – მთელი ეს პროცესები თავიდან ბოლომდე მართულია და მათემატიკური სიზუსტით არის გათვლილი იმ ძალების მიერ, რომლებიც დღეს, ფაქტობრივად, მსოფლიოს ეკონომიკას ფლობენ.

ასე მოუვიდა აღმოსავლეთ ევროპის სოფლებს, იგივე მოხდა აზიაში და სამხრეთ ამერიკაშიც და ყოველივე ეს განაპირობა სამრეწველო და ტექნოლოგიური ცენტრალიზაციის პროცესებმა. ინტერნეტწყაროების ცნობით, მაგალითად, იაპონიაში ე.წ „მკვდარი სოფლები" თურმე თითქმის ყველა ნაბიჯზე გვხვდება, ბულგარეთში 400-ზე მეტი სოფელი სრულიად დაცარიელებულა და გაჩანაგებულა.

**თანამედროვე კაპიტალიზმის მოდელი, რომელიც გახლავთ წინააღმდეგობების, სოციალური უთანასწორობის სისტემა, სადაც ფული ბატონობს და ქმნის კაპიტალს, ეფუძნება გლობალური წარმოების სისტემას. ეს სისტემა თავისდაუნებურად აიძულებს ქვეყნებს, ისეთი პოლიტიკა გაატარონ, რომელიც, სამწუხაროდ, მოკლებულია კონკრეტულად ადამიანზე ზრუნვას...**

ხანდახან მგონია, შეიძლება სიმართლე იყოს, ზოგიერთები შეთქმულების თეორიებზე რომ ლაპარაკობენ და ამტკიცებენ, რაღაც ძალები უხილავი ხელით პროცესებს მართავენო. თუ ამ მოსაზრებებს გავყვებით და ვიფიქრებთ, რომ ვიღაცები ადამიანების სულებზე ნადირობენ, გამოდის, რომ ნადირობა ფიზიკურ სხეულებზეც მიმდინარეობს – ადამიანებს წყვეტენ ფესვებს, იმ ძირს, რომელსაც ქართველი საქართველოში უბრალოდ მიწას კი არა, გამომზრდელს, დედა-მიწას უწოდებდა თავიდანვე, ეს ის მიწაა, რომელიც, ბიბლიის მიხედვით, ჩვენი სხეულის შემადგენელი ნაწილიცაა – მიწა იყავ და მიწად იქეციო!.. და ა.შ.

* * *

**იმის მიუხედავად, რომ საქართველოში არსებობს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამა, მაგალითად, „აწარმოე საქართველოში" და სხვები, ამ პროგრამებმა კვალი ვერ დაამჩნიეს ჩვენს სოფელს. მათი შედეგიანობა ადგილებზე ნაკლებად იგრძნობა – ერთია პროგრამის ფორმალური არსებობა და მეორე – რეალური ცხოვრება.**

ქართველი გლეხი, გინდა, ფერმერი დავარქვათ და გინდა – ბიზნესმენი, სახელწოდების გათანამედროვეობით პრობლემას ვერ მოხსნის, ის ვერასოდეს შეძლებს, კონკურენცია გაუწიოს სოფლის იმ მოდელს, სადაც ტრაქტორიც სენსორიანია და მიწაც ასობით ჰექტარს მოიცავს.

ჩვენთან მიწა დანაწილებულია, სარწყავი სისტემა ხშირად არც ფუნქციონირებს, სუბსიდიები არასისტემურია, ბაზრის წვდომა თითქმის არ არსებობს. ამ ყველაფერს ემატება თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები, რომლებიც ღია კარს ტოვებენ უცხოური პროდუქციებისთვის, კერძოდ, მაგალითად, მომძლავრებული თურქული ბაზრისთვის, რომელიც სტაფილოდან და კარტოფილიდან დაწყებული, მსხვილი ინდუსტრიული ნაწარმით დამთავრებული, გუდავს ადგილობრივ სოფლის მწარმოებელს და ნაწარმს.

ქართული სოფელი ის ობოლია, რომელიც მიატოვა, როგორც ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ისე გლობალურმა სისტემამ.

მაგრამ ეს არ არის მარტო ეკონომიკის მთავარი საკითხი — ეს პოლიტიკური არჩევანია და როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ლიბერალური ეკონომიკის ნაწილი გახლავთ. საქართველოს ხელისუფლებას დღეს აქვს შანსი, ლოგიკური მოტივი და საბაბი, დაიწყოს ახალი მიმართულებების მშენებლობა და ამ მიზნის განხორციელებისთვის ერთ-ერთ მთავარ პლაცდარმად ქართული სოფელი გამოიყენოს. მოსალოდნელი ეკონომიკური კოლაფსებისაგან, რომელიც დროდადრო ხოლერასავით გადაუვლის ხოლმე მსოფლიოს, საქართველოს ვერც სავალუტო ფონდი იხსნის, ვერც მსოფლიო ბანკი, ვერც სხვა საერთაშორისო ინსტიტუტები, ვერც პარტნიორი სახელმწიფოები და ვერც სავაჭრო-მეგობრული კავშირები, საქართველოს, როგორც ძველთაგანვე უწოდებდნენ, მიწათმოქმედთა ქვეყანას, ისევ აღორძინებული ქართული სოფელი გადაარჩენს.

**შემოდგომაზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს მოსახლეობისა და ხელისუფლების პრიორიტეტები ამ მიმართულებითაც უნდა იქნას აქცენტირებული. სოფელი არ არის ავადმყოფი ან მკვდარი ორგანიზმი, რომელიც უნდა მოიკვეთო. ის ჯერ კიდევ სუნთქავს და დიდი მოთმინებით გველოდება.**

**სოფელი არ ითხოვს მოწყალებას. ის ითხოვს შესაძლებლობას და თუ ამ შესაძლებლობას მივცემთ, ის თავად გვაჩვენებს, როგორ შეიძლება პატარა ტერიტორიაზე ერთად იცხოვროს მიწამ, ისტორიამ, ადამიანმა და მომავლის იმედმა.**

**სოფელში რომ ყველა სახლში სინათლის სხივი იკიაფებს და ყველა ოჯახში მამლის ყივილის ხმა რომ მოიყვანს დილას, მაშინ იქნება საქართველო გამარჯვებული!**

**ყველაფერი ახალი ხომ კარგად დავიწყებული ძველია!**



**ირანდა კალანდაძე**

**სოფელი არ ითხოვს მოწყალებას. ის ითხოვს შესაძლებლობას და თუ ამ შესაძლებლობას მივცემთ, ის თავად გვაჩვენებს, როგორ შეიძლება პატარა ტერიტორიაზე ერთად იცხოვროს მიწამ, ისტორიამ, ადამიანმა და მომავლის იმედმა.**

# ჰოდა, აქა ამბავი კაცისა, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელი არ მოაწერა!

**ჰოდა, ამირეჯიბზე მოგახსენებთ, შალვა ამირეჯიბზე. თავის დროზე ის არც არავისზე ნაკლები პატრიოტი ყოფილა, თუ მეტი არა, და დღესაც ვერც ვერავინ ვაჯობებთ საქართველოს სიყვარულში. და ბევრი რამ, რაც შალვა ამირეჯიბისა უკვე წაკითხული მაქვს, მაძლევს იმის დარწმუნებით თქმის უფლებას, რომ იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული მოღვაწე გახლდათ და მისი შემოქმედების გარეშე წარმოუდგენელია XX საუკუნის საქართველოს ისტორიის, პოლიტიკისა და კულტურის ჯეროვნად შესწავლა. მით უმეტეს, როცა მორიგი 26 მაისი ვიზეიმეთ, რომლის მოწმე და შემოქმედი შალვა ამირეჯიბიც გახლდათ, ვითარცა საქართველოს პირველი პარლამენტის წევრი. და თუ საქართველო დაგვიანებით იგებს და ითვისებს ამ სახელს და მის მემკვიდრეობას, იმ ბედუკუღმართობის ბრალია, რის გამოც არა მარტო შალვა ამირეჯიბის, არამედ ემიგრაციაში დარჩენილი მრავალი ღირსეული ქართველის სახელი საგანგებოდ იყო დავიწყებული და წლების განმავლობაში ფერფლწაყრილი.**

ჰოდა, დავიწყების ამ ფერფლიდან საქართველოსთვის ახალი სახელების გამოვლენაში ძალიან ბევრი გაკეთდა ბოლო 30-35 წლის განმავლობაში, როცა დაიწყო ქართულ კულტურასა თუ ისტორიასთან ქართული ემიგრანტული კულტურისა და ისტორიის შეერთების და გაერთიანების პროცესი. და ეს ეხება არა მარტო მათ ემიგრანტულ ნაღვაწს, არამედ ემიგრაციაში დარჩენილთა ემიგრაციამდელ საქმეებსა თუ შემოქმედებას. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ უკვე გაკეთებულში დიდია ქართული ლიტერატურის მუზეუმის წვლილი და ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია მუზეუმის ყოფილი თანამშრომლის, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის **ლალი ცომაიას** დამსახურება.

ჰოდა, სწორედ ლალი ცომაია გახლავთ შალვა ამირეჯიბის არქივის ექვსტომეულის შემდგენელი, კომენტარებისა და საძიებლების ავტორი, რომელიც მზად არის გამოსაცემად და მალევე გამოიცემა ლიტერატურის მუზეუმისა და საგურამოს ილია ჭავჭავაძის მუზეუმის თანამშრომლობით. მანამდე, წლებით ადრე, ლალი ცომაიამ შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, კომენტარებითა და საძიებლებით აღჭურვა გრიგოლ რობაქიძის მონუმენტური ხუთტომეული, რომელიც ლიტერატურის მუზეუმმა გამოსცა 2012 წელს.

ჰოდა, ამირეჯიბის არქივის ამ ექვსტომეულამდე ლალი ცომაიამ შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა აგრეთვე შალვა ამირეჯიბის ორტომეული, რომელიც 1998 წელს გამოსცა ლიტერატურის მუზეუმმა. წიგნის პირველ ტომში დაბეჭდილია შალვა ამირეჯიბის გასაბჭოებამდე დაბეჭდილი ლექსები და მისი პუბლიცისტური წერილები გამოქვეყნებული ჟურნალში „კლდე“ და გაზეთებში „სამშობლო“ და „საქართველო“. მეორე ტომი კი შალვა ამირეჯიბის ემიგრანტულ ნაწერებს ეთმობა. სწორედ ამ წიგნების ყურადღებით გაცნობის შემდეგ აშკარა გახდა, რომ შალვა ამირეჯიბის გარეშე მართლა წარმოუდგენელი იყო თანამედროვე საქართველოს ისტორიისა და კულტურის სრულყოფილი გააზრება.

ჰოდა, ამ ორ ტომში დაბეჭდილი წერილები სრულიად ახალი იყო ქართველი მკითხველებისათვის. შალვა ამირეჯიბის შესახებ ფართო საზოგადოებაში იმ ორტომეულამდე თითქმის არაფერი იყო ცნობილი, გარდა იმ ზეპირი ზეპური ამბისა, რომ იყო ასეთი ადამიანი – ოდესღაც, წინის წინა ცხოვრებაში **ვერიკო ანჯაფარიძის** მეუღლე და მერე ემიგრაციაში გადახვეწილი.

ჰოდა, მე კი შედარებით მეტი ვიცოდი მის შესახებ, თუნდაც ემიგრანტული პრესიდან, მაგრამ თითქმის მთელი წელიწადია წინასიტყვაობას ვწერ ამ გამოცემისათვის. ვეცნობი და ვსწავლობ ერთი საუკეთესო ქართველი პუბლიცისტის მემკვიდრეობას, რომლის დროულად შესწავლაში სწორედ იმ ეპოქამ შემიშალა ხელი, რომელსაც შალვა ამირეჯიბსა და მის ემიგრანტ თუ არაემიგრანტ თანამედროვეებს, ისევე როგორც 26 მაისს, დავიწყების ფერფლი გადააყარა.

**ჰოდა, შალვა ამირეჯიბის ამ ექვსტომეულში სხვა თემებთან ერთად უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ორ თემას: 1924 წლის აჯანყება და 26 მაისი. შალვა ამირეჯიბის 26 მაისისადმი მიძღვნილი ტექსტებიდან ერთი განსაკუთრებით გამორჩეულია.**

ჰოდა, საზოგადოდ, პუბლიცისტიკაში განსაკუთრებით მიყვარს ტექსტები, სადაც, რაგინდ სამეცნიერო ნარკვევზე ან სტატიაზე იყოს საუბარი, ნარკვევის ერთ-ერთი პერსონაჟი იმავდროულად ავტორიც არის და ავტორი იმავდროულად პერსონაჟიცაა. ავტორი თავისი კვლევა-ძიების დეტალებში გვახედებს ან კიდევ, თავისი მოგონებებითა თუ წიაღსვლებით ამშვენიერებს და უფრო საინტერესოდ აქცევს ტექსტს. მე რომ ასეთ ტექსტებს განსაკუთრებით ვაფასებ, იმ ჩემს წინასიტყვაობაშიც კარგად უნდა გამოჩნდეს, საიდანაც ეს ფრაგმენტი ამოვიღე, რომელიც შემოკლებით ფეისბუქზე სამ ნაწილად მინდა გამოვაქვეყნო.

ჰოდა, ამ ფრაგმენტს ჩემი წინასიტყვაობა კი ჰქვია, მაგრამ ძირითადი აქ შალვა ამირეჯიბის ტექსტია, რომელიც ნამდვილ შედევრად მიმაჩნია, რომელიც თუმცა დაუმთავრებელია, მაგრამ მაინც: თან მოგონებაა, თან სტატია, თან ნარკვევი, თან ობიექტური, თან სუბიექტური, თან ინფორმაციული, თან ემოციური, თან ავტობიოგრაფია და თან მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო.

ჰოდა, მინდა შალვა ამირეჯიბის ამ ვრცელი ტექსტის პირველი, ერთი საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი ჩემი წინასიტყვაობის ორგანულ ნაწილად ვაქციო, მაგრამ რაკი ეს ტექსტი მთლიანად ამ გამოცემის მეორე ტომში იბეჭდება, აქ მხოლოდ იმ გვერდებს მივუთითებ, სადაც იგია დაბეჭდილი (ტ. II, გვ. 7-77), მაგრამ თუ ჩემი წინასიტყვაობა სადმე ცალკე გამოქვეყნდება, ვთქვათ ჩემი რჩეული წინასიტყვაობების მეორე ტომში ან სადმე რომელიმე ჩემს წიგნში, მაშინ შალვა ამირეჯიბის ტექსტის ეს ვრცელი ფრაგმენტი მთლიანად ჩაერთვის ჩემს წინასიტყვაობას. ხომ არის ხოლმე და არცთუ იშვიათად, როცა რომელიმე წინასიტყვაობაში ან კრიტიკულ წერილში ესა თუ ლექსი მთლიანად არის ხოლმე მოტანილი, აქ კი მხოლოდ ვრცელ ფრაგმენტზეა საუბარი. მერე რა რომ ეს ლექსი არ არის და პუბლიცისტიკაა. ბევრი პუბლიცისტური თხზულება ბევრ ლექსს სჯობია ლიტერატურული ოსტატობის თვალსაზრისით. ეს სწორედ ამგვარი შემთხვევაა.

ჰოდა, შალვა ამირეჯიბის ამ მოგონებას „გუმანისთვის ქართვლისა“ ჰქვია. იგი დაუსრულებელია. მისი ფრაგმენტები მნიშვნელოვანი ცვლილებებით დაბეჭდილია ორტომეულის მეორე ტომში (გვ. 118-127). ხოლო მათგან ერთი ფრაგმენტი ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებებით იზა ორჯონიკიძემ გამოაქვეყნა „ლიტერატურული საქართველოს“ 1989 წლის 8 სექტემბრის ნომერში.

ჰოდა, აი, ჩემს მიერ ამ ექვსტომეულიდან შერჩეული ფრაგმენტი:

* * *

**„26 მაისის დილას, 1918 წელს, მეც ისე ვღელავდი, როგორც, ალბად, ბევრი სხვა ქართველიც და ადრე ავდექი. ხუმრობა საქმე არ იყო. ას ჩვიდმეტი წლის მონობის შემდეგ საქართველო თავის დამოუკიდებლობას აცხადებდა. ეხლა ადვილია ამაზედ ლაპარაკი, მაგრამ ამ დილის ელდა, ას ჩვიდმეტი წლის ოცნებით ნაზარდი, დღესაც გულში მიდევს. რამდენი ჩავიდა საფლავში თაობა, რომ ეს ოცნება თან ჩაიტანა!**

ძნელი დრო იყო. რუსეთი ომმა დაანგრია და იმის ტერიტორიებს გერმანიის ჯარები მოედვნენ. მაგრამ რუსეთშიაც და ჩვენშიაც ბევრი გამოჩნდა ხალხი, რომელმაც იმპერიის კატასტროფული ბოლო „დიდი რევოლუციის“ დასაწყისად მიიჩნია. საქართველოს მაშინდელმა ბატონ-პატრონებმა ვერ გაიგეს, რომ ქართველი ერის წინაშე სულ სხვა ამოცანა იდო. რუსეთმა გაუძლო თავის რევოლუციას და დღესაც ცოცხალია. მაგრამ ქართულმა დემოკრატიამ იმდენი „აღრმავა“ ეს რევოლუცია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ძირი გავარდა. ვისგან შესდგებოდა ეს დემოკრატია – ამისი სწორი ანგარიში დღესაც არავის არა აქვს. მაგრამ მაშინვე ნათელი იყო, რომ საქართველოს ის ვერ მოუვლიდა. თუ კი ამ ქართული დემოკრატიის მოკლე დახასიათება შესაძლებელია, ქართულ დემოკრატიაზედ უნდა ითქვას, რომ ის იყო იდეოლოგიური თავი, თავის სოციალურ ტანს მოკლებული. ეს თავი ათასი ხიმერით იყო გამოჭედილი, ტანი კი უსუსური და უძლური. აი, ამ დემოკრატიის ხელში იყო საქართველოს ბედი.

ჩვენი სახლობა მაშინ ვერაზედ სცხოვრობდა, დუშეთის ქუჩაზედ. ჩვენს გვერდით, მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის სახლი იყო, ისეთივე პატარა ბაღით, როგორც ჩვენ მინას ჰქონდა და ბაღის ბოლოში პატარა სარაითი, რომლის ატელიეთ გადაკეთებაზე იაშა დიდი ხანი ოცნებობდა. რაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა გამოცხადდა, იაშა იძახდა: საქართველოში ერთი კათალიკოსია, ერთი იაკობ ნიკოლაძეო!

ეხლა საქართველოს დამოუკიდებლობას ელოდა, რომელსაც მისთვის ერთი ატელიეც უნდა მოეტანა. იმ გაზაფხულს იაშა ჩემ სურათს ხატავდა და მემუქრებოდა:

– დავხატავ და დავაწერ: თავადი შალვა ამირეჯიბი. პრაპორშჩიკი. რუსეთისათვის არც ერთხელ ომში არ დაჭრილიო!

იგულისხმებოდა ის გარემოება, რომ დიდი ომის დროს ავსტრიის ფრონტზედ ვიყავი და სახლში მართლა უვნებელი დავბრუნდი. მაგრამ იაშას მუქარა არ აუსრულდა. ვერც ჩემი სურათი დაამთავრა და ატელიეც, მგონია, მხოლოდ ბოლშევიკებმა აუშენეს.

– მიდიხარ? – დამიძახა ღია ფანჯარიდგან თვალებ გაბრწყინვალებულმა იაშამ, კარში გამოსული რომ დამინახა.

ადრე იყო. კაცმა რომ სთქვას, საქმეზედ ჯერ არსად მივდიოდი, მაგრამ რაკი გზაზედ ვიდექი, მეც თავი ჩაუქნიე.

– აბა, თქვენ იცით! – მომძახა იაშამ და აღარ გამითავა. სეიმი უნდა დაიშალოს. სეიმს ტფილისთან ხელი არა აქვს. აქ საქართველოა! თუ გაჭირდა, ყველანი იქ მოვალთ!

ეს „ყველანი“ ის პოეტები, მწერლები, მხატვრები, ესტეტები, მუსიკოსნი, მომღერალნი და საერთოდ ტფილისის ბოგემა იყო, რომელიც „ძმურ ნუგეშში“ იყრიდა თავს, „გასაჭირში“, რომელზედაც იაშა ლაპარაკობდა, არაფრად ვარგოდა, მაგრამ მით არა ნაკლების ეშხით გაჰქონდა და გამოჰქონდა „რევოლუციონური დემოკრატია“, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებას აგვიანებდა. ლექსები, სიმღერები, მუსიკა, ექსპრომტები და ხშირად გრძელი სიტყვებიც ამ ატმოსფერას უფრო ამქუხარებდა და ერთ ფინჯან ცივ ჩაიში მთელი ქარიშხალი ბობოქრობდა. იაშა ამ ტალღების ნამდვილი ნეპტუნი იყო.

„ეროვნულ ყრილობის“ შემდეგ საქმის მსვლელობაზედ უკმაყოფილო ბოგემაში დიდ მოდაში იყო ჟორდანიას ფრაზა, ამ ყრილობაზედ თქმული: **„დაგვიანება არ ვარგა, არც აჩქარება ვარგაო!“** ჩაი ვერავის აძღობდა. პატარა ტაფა ერბოკვერცხიც სამი აბაზი ღირდა. მაგრამ ის ბევრის მთქმელი ენა ხომ ყველას პირში ერჭო და როცა ლაპარაკით გამაძღარი ხალხი, ნაშუაღამევს, ერთმანეთს ეთხოვებოდა ხშირად გაიგონებდი: ხვალ არ დაიგვიანო, მაგრამ არც აჩქარდეო! იაშას ეს ფრაზა ათასჯერ ჰქონდა ხელმონაცვლული და დღესაც მითხრა:

– უთხარი იმ კაცს, უთხარი ჩემგან, ყველასგან, მთელ საქართველოსგან, რომ ეხლა მხოლოდ აჩქარება ვარგა, დაგვიანება კი მაშინაც არ ვარგოდა-თქო!

**„ის კაცი“ ჟორდანია იყო.** ყველა ჩვენი ცხადი თუ საიდუმლო დადგენილებანი იაშამ მუდამ ზეპირად იცოდა. იცოდა აგრეთვე ისიც, რომ ეროვნული საბჭო დღეს საქართველოს დამოუკიდებლობას აცხადებდა, მაგრამ იაშა მაინც ანჩხლობდა და იმისი ანჩხლობის მიზეზიც ისევე კანონიერი იყო, როგორც ბევრი სხვა ქართველის. თექვსმეტი თვე იყო, რაც რუსეთი დაიშალა. თექვსმეტი თვე იყო აგრეთვე, რაც საქართველო უპატრონო ურემივით ეგდო და ჩვენი დემოკრატია ჯერ კიდევ თავის რევოლუციონურ ორღობეს ვერ გასცლოდა.

წინა დღეებში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას კრება ჰქონდა, რომელზედაც დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი სწყდებოდა. საზოგადოებაში ხმა დადიოდა, რომ კრებაზედ ბევრ დრამატიულ სცენას ჰქონდა ადგილი. ლაპარაკობდნენ, რომ ვიღაცას გული შეუწუხდა, ვიღაცამ თავისი აზრის პროტოკოლში შეტანა მოითხოვა. „აზრი“ კი დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო იყო. ასახელებდნენ პირებსაც. საზოგადოებას ეს ხმები მოსდიოდა და ღელავდა. ოდესმე ისტორია იტყვის, რა მოხდა ამ კრებაზედ და ვინ იყო დანამდვილებით ის ხალხი, რომელიც ასე მისტიროდა რუსეთს. ერთი კი მაშინაც ვიცოდით, საქართველოს დამოუკიდებლობის აზრი ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ მიიღო არა ერთხმად, არამედ ხმის უმეტესობით. ეს „საიდუმლო“ იაშამაც იცოდა და ამიტომ ანჩხლობდა.

მე უკვე დავშორდი იაშას, რომ მომძახა:

– სხდომაზე დასწრების ბილეთი აქა მაქვს. მე მინდა დავესწრო ქართული პარლამენტის პირველ სხდომას. ასე გადაეცი ყველას!..

იაშა დაესწრო არა მარტო პირველ სხდომას, მგონია, ყველას. იჯდა ჟურნალისტების ლოჟაში, ხანდახან დეპუტატების სილუეტებსაც ხატავდა და განირჩეოდა დანარჩენებისაგან სახის იმ იერით, რომელსაც ზ. ავალიშვილი ასურეთულ ბარელიეფების განსაკუთრებულობას ეძახის.

– ნუთუ არ მოგბეზრდა პარლამენტში ჯდომა და დეპუტატების უთავბოლო ლაპარაკის ყურის გდება? – ჰკითხეს ერთხელ სკულპტორს.

– არა! მიუგო მან. მე ვსტკბები ჩვენის დამოუკიდებლობით. დამოუკიდებლობა ნამდვილი საზრდოა. ადამიანი ყოველ დღე ღებულობს საზრდოს, მაგრამ არასდროს არა სწყინდება!

მე წავედი. წყნეთის ქუჩა, ოლგას ქუჩა, რომელსაც ეხლა ცხრამეტი თებერვალის ქუჩა ერქვა და რუსთაველის პროსპექტი ფეხით ჩავიარე. კარგი დილა იყო. ის მშვენიერი ტფილური დილა, რომელიც როგორც ტფილელ კაცს, საათობით მქონდა დათვლილი, როცა მზის სხივებში გატარებული კოჯრის ნიავი გარეთ უბნის ქუჩებს განსაკუთრებულ სიგრილეს და სიახლეს ამცნობს. სასტუმრო „ორიანტთან“ პეტრე ქავთარაძეს შევხვდი.

ის იყო ეროვნულ საბჭოს იურიდიული კომისიის წევრი, რომელსაც დამოუკიდებლობის აქტის შედგენა ჰქონდა მინდობილი და იღლიაში პორტფელ გარჭობილი, სადღაც მირბოდა.

– რაო, თქვენი აქტი? – ვკითხე ჩემს ძველ მეგობარს.

– აქა მაქვს! – მომიგო მან და პორტფელი მანიშნა.

– ისტორიული პორტფელი! ისტორიული კაცი! ისტორიული აქტი-მეთქი! გავიფიქრე მე, მაგრამ გამოირკვა, რომ აქტი ჯერ კიდევ შედგენილი არ იყო.

– ჯერ მზად არ არის. მივრბივარ კომისიის სხდომაზედ, რომ უკანასკნელი რედაქცია ჩამოვწეროთ, – დაუმატა მან.

– მაშ, სეიმის სხდომაზედ შევხვდებით?

– არა მგონია, ღმერთმა ქნას, პარლამენტის გახსნას დროზედ მოუსწროთ!

– განა აქტი ასე გრძელია?

– პირიქით, სულ ხუთი-ექვსი მუხლისაგან შესდგება, მაგრამ კომისიაში ბევრს ლაპარაკობენ. გვიბათილებენ ისეთ ძირითად დებულებებს, რომ ნახავ, ვერც აქტი გამოვა რიგიანი და პარლამენტის გახსნაზედაც უსადილო მოვალ. ამ აქტის „ზოგიერთ“ დებულებათა გამბათილებელი იგივე „რევოლუციონური დემოკრატიის“ წარმომადგენლები იყვნენ“.

**პაატა ნაცვლიშვილი.**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



იაკობ ნიკოლაძის ნახატი



დამოუკიდებლობის პირველი აქტი

**არსებობენ ადამიანები, რომლებსაც თავიანთი პროფესია ყველასგან გამოარჩევთ, აგრეთვე არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცხოვრების წესითა და მიზან-დასახულობით საკუთარ პროფესიას გამოარჩევენ. გია ქორქაძე სწორედ ერთ-ერთი მათგანია. მისი თითოეული დღე იმ სასწავლებელზე ფიქრით იწყება, რომელსაც უკვე 45 წელია ხელმძღვანელობს. ფიქრი მოქმედებაში იზრდება და დანიშნულების საბოლოო ადგილიც თბილისის ცენტრი, ბარნოვის 54 ნომერია — ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი...**



# გია ქორქაძის მთელი ცხოვრება მუსიკა და პედაგოგობაა...

**შენობა ისტორიული და გამორჩეულია, როგორც არქიტექტურით ასევე გარედით. სკოლა სულ 55 საკლასო ოთახისგან შედგება, თითოეული საკლასო ოთახის ფანჯრიდან კი ულამაზესი ხედი იშლება. სიმწვანეში ჩაფლული სასწავლებლიდან მუდმივად კლასიკური მუსიკის ჰანგები ისმის.**

თუმცა, სანამ იქნებოდა აწმყო, იყო წარსული და რეაბილიტაციის ხანგრძლივი პროცესი. და როცა წარსულზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ ეს შენობა გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს ეკუთვნოდა და მხოლოდ 1971 წლიდან განთავსდა აქ თბილისის მე-9 სამუსიკო სკოლა, რომლის ბაზაზეც მოგვიანებით სამუსიკო სასწავლებელი შეიქმნა. შენობას კაპიტალური რემონტი მხოლოდ ერთხელ ჩაუტარდა, 50 წლის შემდეგ კი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

წლებთან ერთად ვითარება უფრო და უფრო მძიმდებოდა. საბოლოოდ კი შეთანხმდნენ, რომ საკითხი ეტაპობრივად მოგვარდებოდა. თანხების გამოყოფა 2018 წლიდან დაიწყო. რეაბილიტაციის პროცესი კი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. ერთხელ ზაფხულის და ორჯერ ზამთრის არდადეგების დროს, რათა სასწავლო პროცესი არ დარღვეულიყო.

განახლებულმა მუსიკალურმა სკოლამ თანამედროვეობას ფეხი რიტმულად აუწყო – მისი მთავარი სულისჩამდგმელი კი გია ქორქაძე იყო, რა თქმა უნდა, პედაგოგებთან ერთად, რომლებიც მუდმივად ზრუნავდნენ სკოლის განვითარებაზე. შემოქმედებითი გუნდის ერთობლივი იდეით აშენდა ღია სცენა საზაფხულო კონცერტებისთვის.

სასწავლებლის ბაღში საკონცერტო დარბაზისთვის შეიქმნა სპეციალური სივრცე. მთავარ შენობაში კი დახურული დარბაზი განთავსდა.

ამბობენ – **„მუსიკა მაგიის ყველაზე ძლიერი ფორმაა“** – იმისათვის, რომ სიღრმისეულად შევიგრძნოთ მუსიკის ძალა, საჭიროა ინსტრუმენტები. მრავალი წლის მანძილზე სასწავლებლისთვის გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა ძველი ინსტრუმენტების ახლით ჩანაცვლების საკითხი. 2021 წელს კი აღნიშნული პრობლემა მოგვარდა. კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით და დაფინანსებით მუსიკალურმა სკოლამ შეიძინა ერთი საკონცერტო როიალი, შვიდი პიანინო და ცამეტი კლასიკური და ელექტროგიტარა.

„ამ მიზნის განხორციელების მთავარი მოტივატორი ბ-ნი გ. ქორქაძეა, რომელიც თავდაუზოგავად მუშაობდა სასწავლო-შემოქმედებითი თუ მატერიალურ-ტექნიკური საკითხების მოგვარებისთვის. ამ ყველაფერმა საგრძნობლად გააუმჯობესა პედაგოგთა და მოსწავლეთა სამუშაო პირობები“, ამბობს თინათინ ღვინერია, ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

მუსიკოსის ცხოვრებაში ხელოვნება ბავშვობიდან იყო. საკუთარი ცხოვრებაც ხელოვნების უმაღლეს დარგს – მუსიკას დაუკავშირა. გიორგი ქორქაძემ დაამთავრა ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედი“, 1974 წელს კი – ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ვიოლინოს სპეციალობით. მუსიკის გარდა, ნიჭი ზუსტ მეცნიერებაშიც გამოავლინა და 1980 წელს მისი ცხოვრებაც მუსიკის საზღვრებს გასცდა, სწავლა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე დაიწყო.

სხვადასხვა პერიოდში გია ქორქაძე ხელმძღვანელობდა კამერულ გუნდსა და ორკესტრს „კამერატას“. ხელმძღვანელის რანგში საუკეთესო პიროვნული თვისების გამო, მოგვიანებით დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო კაპელის დირექტორად იყო. კონცერტები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყანაში.

**„მისი ენთუზიაზმი, ენერგია, გამჭრიახი მოქმედების უნარი გამოიხატა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჩატარებულ კონცერტებში, რომელიც დაორგანიზა საქართველოს და საკავშირო ფილარმონიებთან მოლაპარაკებების და შეთანხმების გზით, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის უკიდურეს აღმოსავლეთში. მისი მონდომებითა და ორგანიზატორული უნარების შემწეობით ყოველთვის შენარჩუნებული იყო საკონცერტო გამოსვლების გრაფიკი და ხარისხი“,** – ამბობს **თინათინ ღვინერია**.

გია ქორქაძის ორგანიზაციული უნარები კიდევ უფრო გამოიკვეთა, როდესაც N 23 და N9 მუსიკალური სკოლების დირექტორის პოსტი დაიკავა. სწორედ მისი დამსახურებით N23 სკოლა დაწყებითი სამუსიკო განთლების უმნიშვნელოვანეს კერად იქცა. აღნიშნულ პოზიციაზე მიღწეული წარმატების გამო, 1979 წელს კულტურის სამინისტრომ გ.ქორქაძეს შესთავაზა, გამხდარიყო N9 მუსიკალური სკოლის დირექტორი. მუსიკოსი შეთავაზებას დათანხმდა და 1991 წლამდე ხელმძღვანელობდა N9 მუსიკალურ სასწავლებელს.

განვლილ შემოქმედებით გზაზე საუბრისას კი მის ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი უკავია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრში გატარებულ დაუვიწყარ წლებს. ოდისეი დიმიტრიადი, ზურაბ ანჯაფარიძე, დიდიმ მირცხულავა – გამორჩეულ მომღერლებთან ერთად შესრულებული გამორჩეული ნომრები, თუმცა გია ქორქაძისთვის ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც „სოფლის ღირსება“ იყო ნოდარ ანდღულაძისა და ცისანა ტატიშვილის მონაწილეობით.

გია ქორქაძე უზომოდ შეყვარებულია საკუთარ საქმეზე, ბავშვებსა და პროფესიაზე. მუდმივად სასწავლებლის განვითარებაზეა ორიენტირებული... დროსთან ერთად შეიცვალა მიდგომებიც, თუმცა უცვლელია სურვილი და საქმის სიყვარული. ის, რაც წლების წინ მას ასწავლეს, ახლა თავად უმცროს კოლეგებს უზიარებს. სანამ ჯერი უცხოეთზე დადგება, მანამდე საქართველო და ქართული ფესტივალია, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და ევგენი მიქალაძის სახელს ატარებს. მოსწავლეებს შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც საკუთარი ქვეყანა და სკოლა სამშობლოს ფარგლებს მიღმა უკვე ასახელეს. წარმატება კი არა მხოლოდ ერთი ადამიანის, არამედ მთლიანი კოლექტივის დამსახურებაა.

ალბათ, საზოგადოებისთვის გასაკვირი არ იქნება, როდესაც გაიგებს, რომ გია ქორქაძესთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს გრიგოლ ჩიგოგიძეს.

* * *

**„1979 წელს ვატარებდით ნორჩ კინომოყვარულთა საერთაშორისო კინოფესტივალს „თბილისურ აისს“. ეს ის პერიოდია, როდესაც მუსიკა და გამოსახულება სხვადასხვა ფირზე იწერებოდა. გამოსახულება ცალკე მოდიოდა, ხმა – ცალკე. შედეგად მივიღეთ ის, რომ რამდენიმე ფირის მაგნიტოფონი დაიკარგა. ვითარების გამოსწორების მიზნით რამდენიმე ჩემს მეგობარს დავეკონტაქტე, თუმცა, დროის უქონლობის გამო ვერ დაგვეხმარნენ. ბოლოს მივმართე გია ქორქაძეს, რომელმაც ყველანაირი საქმე გადადო, მოვიდა კინოფესტივალზე და რამდენიმე საათის განმავლობაში ბავშვების მიერ გადაღებულ ფილმებს უყურებდა. გიამ ყოველთვის იცის მეგობრის დაფასება, მხარდაჭერა, გვერდში დგომა. მე ყოველთვის ვესწრები მისი სკოლის მოსწავლეების კონცერტებს და უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის მაღალი დონის ნამუშევრებით წარდგებიან ხოლმე საზოგადოების წინაშე. კარგი იქნება, თუ დავუფასებთ, ამდენწლიან შრომას და შემოუერთდება თბილისის საპატიო მოქალაქეთა რიგებს“, – ამბობს კინოსტუდია „პიონერფილმის“ ხელმძღვანელი გრიგოლ ჩიგოგიძე.**

კომპოზიტორმა ლევან კასრაძემ და მუსიკოსმა გიორქი ქორქაძემ ერთმანეთი 1975 წელს გაიცნეს. **„მაშინ მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება იყო და კამერულ გუნდს ხელმძღვანელობდა. თავიდანვე ძალიან ენერგიული და მიზანდასახული იყო. თავისი საქმის პროფესიონალი და ასევე შესანიშნავი მევიოლინე გახლდათ დამთავრებული აქვს ნიჭიერთა ათწლედი პროფესორ ირაკლი ბერიძესთან. მოგვიანებით, მუსიკალური სკოლის დირექტორად დაინიშნა, თუმცა ამის პარალელურად ყოველთვის ნახულობდა დროს, რომ კამერული გუნდისთვის კონსულტაციები ჩაეტარებინა. გულისხმიერი ადამიანია, იცის მეგობრობა და ადამიანების დაფასება, რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას, ჩვენი მეგობრობა დღემდე გრძელდება. წარმატებებს ვუსურვებ ყველგან და ყველაფერში“,** – განაცხადა კომპოზიტორმა **ლევან კასრაძემ**.

**„ბატონი გიორგი ქორქაძე, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქე, პროფესიონალი, ქვეყნის მუსიკალური კულტურის წინაშე შეტანილი წვლილისთვის, ამ სფეროში ხანგრძლივი და უმწიკვლო საქმიანობის გამო, ნამდვილად იმსახურებს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებას, რასაც მხარს უჭერს ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მთელი კოლექტივი“.**

**„გიორგი ქორქაძე, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე, ათეული წლების მანძილზე ეწევა ინტენსიურ და წარმატებულ საქმიანობას, რომელიც ემსახურება ქართული მუსიკალური ხელოვნებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარებას. მის მიერ ქართული კულტურის სფეროში შეტანილი მნიშვნელოვანი ღვაწლის, მაღალი პროფესიონალიზმისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი რეკომენდაციას უწევს გიორგი ქორქაძეს, რათა მას მიენიჭოს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება“,** – აღნიშნულია საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის, პროფესორის **გიორგი შავერზაშვილის** განცხადებაში.

**„ბატონი გიორგის ღვაწლი ახალგაზრდა მუსიკოსების აღზრდასა და მათი წარმატებული კარიერის ხელშეწყობაში ნამდვილად შეუფასებელია, მომავალ თაობებზე ზრუნვა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, პირველად ბათუმის შავი ზღვისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსი ორ ასაკობრივ კატეგორიაში, სადაც გიორგი ქორქაძე მიწვეული იყო საკონკურსო ჟიურის წევრად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევ გიორგი ქორქაძეს, მისი პერსონის, კომპეტენციის, კეთილსინდისიერებისა და სხვა მრავალი დამსახურებისთვის მიენიჭოს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება“,** – აღნიშნულია საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის **ელისო ბოლქვაძის** განცხადებაში.

ოქტომბერში თბილისობისთვის შექმნილ და გალამაზებულ სხვადასხვა სივრცეში მათ შესახებ გაიგებთ, ვინც აქამდე უკვე გამოარჩიეს. იმედია, წლევანდელი შემოდგომის ფესტივალიც ისეთი ნაყოფიერი და ბარაქიანი იქნება, როგორიც იყო აქამდე. თბილისობის 40-წლიანი ისტორიის მანძილზე საპატიო მოქალაქეთა რიცხვი ყოველწლიურად მზარდია და იმედია, ზემოხსენებული ცხოვრებისეული და კარიერული მიღწევებისთვის მათ რიცხვს წელს გია ქორქაძის სახელიც შეემატება.

**ნინი ბიჩინაშვილი,**
**ჟურნალისტი.**



## ხაშმში „რეზოობა“ აღინიშნა

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისა და კულტურის ობიექტების გაერთიანების ორგანიზებით, 12 ივნისს რევაზ ინანიშვილის მშობლიურ სოფელ ხაშმში მისი დაბადებიდან 99 წლის აღსანიშნავად, „რეზოობის“ სახალხო დღესასწაული აღინიშნა.**

**ხაშმის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში რევაზ ინანიშვილის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი აღავლინეს, მოგვიანებით კი, მწერლის სახლ-მუზეუმში, შემოქმედებითი საღამო გაიმართა. „რეზოობა“ ხაშმში მწერლის დაბადების დღის აღსანიშნავად, ყოველწლიურად იმართება.**

Ukraine's Narrow Path to Victory Without Trump

How Kyiv and Europe can defeat Russia on their own.

By Paul Hockenos, a Berlin-based journalist.



Polish Prime Minister Donald Tusk, Ukrainian President Volodymyr Zelensky, British Prime Minister Keir Starmer, French President Emmanuel Macron, Ukrainian first lady Olena Zelenska, and German Chancellor Friedrich Merz in Maidan Square in Kyiv as European leaders meet in Ukraine for further talks on the so-called "coalition of the willing" in Kyiv on May 10. STEFAN ROUSSEAU—WPA POOL/GETTY IMAGES

# კიევი და ევროპა, უამერიკოდ, რუსეთს დაამარცხებს?!

ამერიკულ ჟურნალ **„ფორინ პოლისში“ (Foreign policy)** დაბეჭდილია სტატია სათაურით **„უკრაინის გამარჯვების გზა დონალდ ტრამპის გარეშე: როგორ შეუძლიათ კიევს და ევროპას რუსეთის დამარცხება აშშ-სგან დამოუკიდებლად“** (ავტორი – **პოლ ჰოკენოსი**). ვრცელ ანალიტიკურ პუბლიკაციაში განხილულია უკრაინისადმი ევროპის ქმედითი დახმარების სცენარები – ის, რაც უნდა გაკეთდეს ომში უკრაინის გამარჯვებისათვის, ამჯერად ევროპელების მხრიდან, როცა ამერიკას კიევისადმი დახმარების გაწევის შემცირება აქვს განზრახული.

**გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:**

**თეთრ სახლში დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ უკრაინის პერსპექტივა რუსეთთან დაპირისპირებაში შესამჩნევად გაფერმკრთალდა. აშშ-ის პრეზიდენტმა არაერთგზის განაცხადა, რომ კიევს ისეთ სამხედრო დახმარებას არ გაუწევს, როგორსაც ჯო ბაიდენი უწევდა. ჩამოყალიბდა სიტუაცია, რომელმაც ძალიან შეავიწროვა უკრაინის გზა უსაფრთხო და სუვერენული მომავლისაკენ. ასეთმა მდგომარეობამ, თავის მხრივ, ბევრ ევროპელ დამკვირვებელში ღრმა პესიმიზმისა და სკეპტიციზმის გრძნობა გააჩინა.**

მაგრამ გადაჭარბებული პესიმიზმი უადგილო და კონტრპროდუქტიულია. უკრაინა უკვე აწარმოებს ყველაზე თანამედროვე იარაღს თავისი არმიისათვის და აქტიურად ნერგავს ინოვაციურ ტექნოლოგიებს ბრძოლის ველზეც. კიევი წარმატებით გაუმკლავდა რუსეთს შავი ზღვის აკვატორიაში და ამას წინათ კრემლისათვის სრულიად მოულოდნელად განახორციელა საჰაერო ოპერაცია კოდური სახელწოდებით „ობობას ქსელი“, თანაც რუსეთის ღრმა ზურგში, აღმოსავლეთ ციმბირში, ბაიკალის ტბასთან, რასაც მოსკოვი ვერანაირად ვერ წარმოიდგენდა. ეს იმას ნიშნავს, რომ უკრაინელებს აქვთ ბრძოლის გაგრძელების უნარი და აქვთ სტრატეგია გამარჯვებისათვის – აშშ-ს დახმარების გარეშეც კი, რომელსაც კიევი მიჩვეული იყო და ახლა სავარაუდოდ, ძალიან შემცირდება.

გასულ კვირას ოდესაში (უკრაინა) შავი ზღვის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ფორუმი ჩატარდა, რომლის მონაწილეებმა იმედი გამოხატეს, რომ დონალდ ტრამპი საბოლოო ჯამში თავის პოზიციას შეიცვლის უკრაინის მიმართ და სამხედრო დახმარებას მეტი მოცულობით აღადგენს, ვიდრე ჯო ბაიდენის დროს იყო. ისინი იმედოვნებენ, რომ დონალდ ტრამპი უკრაინას თავის მოკავშირედ აღიარებს და აცხადებენ, რომ უკრაინა იმსახურებს ათეული მილიარდობით დახმარებას და რომ დონალდ ტრამპი, ბოლოს და ბოლოს, გააცნობიერებს, რომ ვლადიმერ პუტინი მას ათამაშებს და მისი განცხადებები ცეცხლის შეწყვეტის სურვილის თაობაზე მხოლოდ სიცრუეა და სხვა არაფერი. ზოგიერთები თვლიან, რომ უფრო რეალურია სხვა სცენარი: დონალდ ტრამპს შეუძლია კიევი და მოსკოვი დაადანაშაულოს – რადგანაც ისინი ვაშინგტონის მოთხოვნებს არ ასრულებენ [დაზავების საკითხში], ამიტომ თეთრი სახლი შეწყვეტს თავის მონაწილეობას (შუამავლობას) დიპლომატიურ მოლაპარაკებაში და კიევს ამერიკულ იარაღს აღარ მისცემს.

**თუმცა ამ სიტუაციაში მთავარია ერთი მომენტი: დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია უკრაინაზე საბოლოოდ უარს არ აცხადებს. ამერიკელი პოლიტიკოსები, მათ შორის რესპუბლიკელთა უმრავლესობა, აცნობიერებენ, რომ უკრაინის სავარაუდო კრახით ვაშინგტონს სერიოზული პრობლემები გაუჩნდება. ამიტომაც აშშ მაინც გააგრძელებს უკრაინისადმი დახმარების გაწევას ძველი მოცულობითაც კი, თუ ეს აშშ-სათვის ძალიან მძიმე ტვირთი არ იქნება.**

ვაშინგტონელი ინსაიდერები, რომლებიც კარგად არიან ჩახედულნი დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის საქმეებში უკრაინის მიმართულებით, ამტკიცებენ, რომ აშშ არ შეზღუდავს უკარინისადმი დახმარებას თანამგზავრული (კოსმოსური) დაზვერვის მონაცემებით, რომლებიც ჰაერივით აუცილებელი და სასარგებლოა კიევის არმიისათვის – ბრძოლის ველზე და მტრის ზურგში სამიზნეების ზუსტი განსაზღვრისათვის. ფრონტის ხაზის კოსმოსური ფოტოსურათები უკრაინისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, ისინი არმიის თვალს და ყურებს წარმოადგენენ.

**რუსეთ-უკრაინის ომის (ე.წ. „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“) დაწყების შემდეგ აშშ-ის გეოსივრცობრივი დაზვერვის ეროვნულმა სააგენტომ უკრაინას კოსმოსური თანამგზავრების მიერ გადაღებული ფოტოების პლატფორმაზე დაშვების უფლება მისცა. ფოტოსურათები უმაღლესი დონის გარჩევადობით გამოირჩევიან და მათი გამოყენებისდა მიხედვით იქმნება სრული წარმოდგენა რუსეთის არმიის ქვედანაყოფების გადაადგილების თაობაზე. შესაბამისად, უკრაინის ჯარებისათვის ორიენტაცია გაიოლებულია. როგორც საქმეში ჩახედული**

# ვინ არის სოციალ-კონსერვატორი, ორმეტრიანი მერცი?!

**გერმანიის ახალ კანცლერს ფრიდრიხ მერცს რამდენიმე თვეში სამოცდაათი წელი შეუსრულდება. იგი დასავლეთ გერმანიის საუერლანდის მხარის ქალაქ ბრილონში, ელიტურ ოჯახში დაიბადა. პაპამისი გერმანიის სათავეში ნაცისტების მოსვლამდე და მერეც, ქალაქ ბრილონის მერი იყო. მამამ, ცნობილმა მოსამართლემ, თავის დროზე, არაერთი ცნობილი ნაცისტი გაასამართლა. დედა გაგერმანელებული ფრანგული არისტოკრატიული ოჯახიდან იყო. მომავალმა კანცლერმა ბავშვობა ბრილონში გაატარა. ძალიან ცელქი ბიჭი ყოფილა, სკოლას ხშირად აცდენდა და ხულიგნობდა კიდეც, მაგრამ, სკოლის დამთავრების შემდეგ სერიოზული და ჭკვიანი ახალგაზრდა გახდა. ჯარში თავისი ნებით წავიდა, სადაც არტილერისტად მსახურობდა.**



**მარბურგისა და ბონის უნივერსიტეტებში იურიდიული განათლება მიიღო. სტუდენტობაში, ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიაში გაწევრდა. სწავლის დასრულების შემდეგ, მუშაობდა იურისტად, იურისკონსულტად, ადვოკატად და, ბოლოს, მოსამართლედ. პარალელურად, პოლიტიკაშიც იყო ჩართული. მერცი ბრილონის ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას ლიდერობდა, იყო მისი იურიდიული ექსპერტი. 1989 წელს, 35 წლის ფრიდრიხი ევროპარლამენტის წევრად აირჩიეს, სადაც ფინანსური კომისიის წევრი იყო. სწორედ, აქედან დაიწყო მისი პოლიტიკური კარიერა.**

2018 წელს, როცა ანგელა მერკელი პარტიის ლიდერობიდან გადადგა, ფრიდრიხ მერცმა პოლიტიკაში დაბრუნებაზე დაიწყო ფიქრი, რის შესახებაც საჯარო განცხადება გააკეთა. პრესკონფერენციაზე იხუმრა, გახსოვდეთ ჩემი გვარი როგორც მარტის თვე, ისე ჟღერს, მაგრამ სხვანაირად იწერებაო, ანუ ჩემგან რაღაც განსხვავებულს ელოდეთო. პოლიტიკაში დაბრუნებულმა მერცმა სწრაფად მოიპოვა ავტორიტეტი ხალხშიც და პარტიაშიც, მაგრამ მერკელის ნაანდერძევი პოლიტისტებლიშმენტი მას წინ ეღობებოდა.

პარტიის ლიდერად, ჯერ, მერკელის პროტეჟე, ანეგრეტ კრამპ კარენბაუერი აირჩიეს, მერე, არმინ ლაშეტი. ამ უღიმღამო პოლიტიკურმა ფიგურებმა, მერკელთან ერთად, რომელიც კანცლერად დარჩა, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, არჩევნებში დამარცხებამდე მიიყვანეს, რაც იმით დამთავრდა, რომ, 2022 წელს, პარტიამ, მესამე მცდელობით, ლიდერად ფრიდრიხ მერცი აირჩია. მაშინ, ქრისტიან-დემოკრატები ოპოზიციაში აღმოჩნდნენ. მერცი პარტიასაც ლიდერობდა და ბუნდესტაგში ფრაქციის უფროსიც იყო. 2024 წლის ბოლოს, მმართველი შუქნიშნის, ანუ სამფერი კოალიცია დაიშალა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები გამოცხადდა. ეს ის დროა, როცა გერმანიაში ულტრამემარჯვენეები აღზევდნენ, რომელთა საქმე, მაშინ მიგრანტების თემამ წასწია წინ.

**ფრიდრიხ მერცმა ულტრა მემარჯვენეებისთვის ხმების წართმევა გადაწყვიტა და საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ მთავარ თემად სწორედ მიგრანტების საკითხი გამოაცხადა, თუმცა, მალე გერმანიის პოლიტიკური ელიტის კრიტიკა დაიმსახურა, რადგან, ბუნდესტაგში, კენჭისყრაზე, მიგრანტების შესახებ კანონის გამკაცრების საკითხი დააყენა, და ეს ულტრამემერჯვეენებთან ერთად გააკეთა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ეს პირველი ასეთი გაბედული ნაბიჯი იყო. ამ ამბავს მერცს დღესაც უხსენებენ ხოლმე.**

ქრისტიან-დემოკრატები არჩევნებში პირველ ადგილზე კი გავიდნენ, მაგრამ ქვეყნის დამოუკიდებლად სამართავი ხმების საკმაო რაოდენობა ვერ მიიღეს. შესაბამისად, კოალიციის შექმნა დაიწყო. მერცმა თავიდანვე გამორიცხა ულტრამემარჯვენეებთან კოალიცია და სოციალ-დემოკრატებთან გამართა მოლაპარაკება. 13 მარტს კოალიცია შეიქმნა და სამი დღის შემდეგ ბუნდესტაგმა მერცი და მისი კაბინეტი დაამტკიცა. ასე გახდა ფრიდრიხ მერცი გერმანიის მეათე ბუნდეს კანცლერი, თუმცა, მოვლენამ სკანდალის გარეშე ვერ ჩაირა. პირველი კენჭისყრის დროს მერცმა ხმათა უმრავლესობა ვერ მოიპოვა. ასეთი რამ, თანამედროვე გერმანიის ისტორიაში პირველად მოხდა. როგორც გაირკვა, მისი პარტიის ზოგიერთმა დეპუტატმა ულტრამემარჯვენეებთან წინანდელი კავშირის გამო, მერცი დასაჯა. მეორე მცდელობაზე, ფრიდრიხ მერცმა უმრავლესობა მიიღო.

**მერცი თავის თავს სოციალ-კონსერვატორს უწოდებს. ეკონომიკაში ლიბერალურ იდეებს იზიარებს, ანუ ბიზნესში სახელმწიფოს ნაკლები ჩარევისა და გადასახადების დაწევის მომხრეა. საგარეო პოლიტიკაში, ანტლანტისტი და ევროკავშირის გაძლიერების მხარდამჭერი, უკრაინის საკითხში კი, მკვეთრი ანტირუსული პოლიტიკის მიმდევარია. ფრიდრიხ მერცის სიმაღლე 198 სანტიმეტრია. ჩანს კიდევაც, როცა კადრში, სხვა პოლიტიკოსებთან ერთად დგას... მისი მეუღლე მოსამართლეა.**

**წყვილმა ერთმანეთი სტუდენტობის დროს გაიცნო. ფრიდრიხ მერცს სამი ზრდასრული შვილი ჰყავს. უფროსი ვაჟი ფილოსოფიური აკადემიის რექტორია. ერთი ქალიშვილი – ცნობილი ექიმი, მეორე კი, იურისტია. მერცი მორწმუნე კათოლიკეა და აქტიურად მონაწილეობს ეკლესიურ ცხოვრებაში.**

**ნუგზარ ბ. რუხაძე,**
**POSTV**

**პირები ამბობენ, უკრაინული დრონების მიერ რუსეთის ზურგში განხორციელებული ოპერაციები და შორსმსროლელი არტილერიის დაბომბვები სწორედ კოსმოსიდან გადაღებული ფოტოებით არის შესაძლებელი.**

სადაზვერვო მონაცემებით უზრუნველყოფის გარდა უკრაინის წარმატება ამჟამად დამოკიდებულია იმაზეც, გახდება თუ არა ევროპა მისი მთავარი მოკავშირე და მწყალობელი. არის ყველა ნიშანი იმისა, რომ საქმე სწორედ ამისკენ მიდის – მართალია ნელა და დაყოვნებით, მაგრამ მაინც. წამყვანი ევროპელი სახელმწიფოები – საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და პოლონეთი – ისწრაფვიან, რომ ამ საქმეში თავიანთი ლიდერობა განამტკიცონ. ამ მიზნით მათ – ევროკავშირის ინსტიტუტებთან ერთად – დიდი თანხები გამოჰყვეს უკრაინის შეიარაღებისათვის და ფინანსური უზრუნველყოფისათვის. ევროკავშირი უკვე ამზადებს უფრო ხისტ და მკაცრ ანტირუსულ სანქციებს.

ევროპელები უკრაინას არამარტო დახმარებას ჰპირდებიან, არამედ ისინი იმასაც აცნობიერებენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რუსეთ-უკრაინის ომში კიევის გამარჯვება თვით ევროპის უსაფრთხოების გრძელვადიანი განმტკიცებისთვისაც. დღეს ეს გარემოება მათთვის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც ფრიდრიხ მერცმა გერმანიის კანცლერის პოსტი დაიკავა, ბერლინი მნიშვნელოვნად გააქტიურდა დიპლომატიურად, რაც არ იყო ოლაფ შოლცის მმართველობის დროს. ევროკავშირმა, რომელსაც რუსეთთან შედარებით ცხრაჯერ მეტი მოცულობის ეკონომიკა აქვს, უკვე დაიწყო აშშ-ის ჩანაცვლება უკრაინის შეიარაღებითა და ფინანსებით უზრუნველყოფაში.

2021-2024 წლებში ევროკავშირის წევრი ქვეყნების თავდაცვითი ბიუჯეტი 218 მილიარდი ევროდან 326 მილიარდ ევრომდე გაიზარდა. მოსალოდნელია, რომ 2027 წლისათვის ხარჯები კიდევ მინიმუმ 100 მილიარდით გაიზრდება. დღეისათვის ევროკავშირის ინსტიტუტების საქმიანობამ სრულიად ახალ დონეს მიაღწია – ისინი თითქმის მთლიანად არიან გადასულნი უკრაინის დახმარების განმტკიცებაზე.

**მსოფლიო ეკონომიკის კვლევის კილის ინსტიტუტი (გერმანია) მივიდა დასკვნამდე, რომ ევროპას თავისი ხარჯების გაორმაგება მოუწევს, რათა აშშ-ის დახმარების მოცულობა ჩაანაცვლოს და მისი კომპენსაცია მოახდინოს უკრაინასთან მიმართებით. 2022 წლის თებერვალ-მარტიდან დაწყებული, აშშ-ის დახმარება შეადგენს 66,9 მილიარდ დოლარს სამხედრო შეიარაღების მხრივ, ხოლო 50 მილიარდ დოლარზე მეტი – პირდაპირ ფინანსურ დახმარებას. (...)**

ევროპა, უეჭველია, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ როგორმე ნაწილობრივ მაინც ჩაანაცვლოს ამერიკული ტექნიკა, მაგალითად, ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სფეროში. დღეისათვის ვაშინგტონი უკრაინას აწვდის ამერიკული წარმოების უმრავლეს რაკეტულ სისტემებს, მათ შორის HIMARS-ებს და ATACMS-ებს, ჭურვებს შორსმსროლელი ჰაუბიცებისათვის და რაკეტებს – საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „Patriot-ისათვის. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ევროპა წარმატებით მუშაობს ტანკებისა და ქვემეხების წარმოების გადიდებისათვის.

არსებობს „ფარული ტუზიც“ – ეს არის უკრაინის მძლავრი თავდაცვითი სექტორი, რომელიც ინოვაციური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მოწინავეა ევროპაში. უკრაინის სამხედრო კომპლექსი აწარმოებს აუცილებელ თავდაცვით საშუალებებს (დაახლოებით 40%-მდე) ბევრად ნაკლები დანახარჯებით და ორჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ევროპელები. ყოველი მილიარდი დოლარი, რომელსაც ამერიკა თავის სამხედრო კომპანიებს უხდის უკრაინელებისათვის იარაღის დასამზადებლად, ევროპელებს უფრო იაფი დაუჯდებათ, თუ ისინი ამ იარაღს უკრაინაში დაამზადებენ. ფართოდ რეკლამირებული დრონების გარდა, უკრაინა ამზადებს უფრო ბევრ ჰაუბიცას და საარტილერიო სისტემებს, ვიდრე ევროპის ყველა ქვეყანა, ერთად აღებული. უკრაინელმა სპეციალისტებმა ზუსტად იციან, თუ რა იარაღი რამდენი სჭირდებათ და მუდმივად ახდენენ თავიანთი წარმოებული ტექნიკის ადაპტირებას საბრძოლო-საველე პირობებისადმი.

**უკრაინელები დაქანცულნი არიან ომით და ნორმალური ცხოვრების დაბრუნება სურთ, იმავდროულად ისინი დაუჯერებელ გამომგონებლობას და სიმტკიცეს ავლენენ, რისთვისაც ევროპამ მათ მადლობა უნდა უთხრას. თუ აშშ მზად აღარ იქნება უკრაინას დაეხმაროს, მაშინ ეს ევროპამ უნდა გააკეთოს. და ევროპა ეხმარება კიდეც, ფართო სამომავლო მასშტაბით.**



**მოამზადა**
**სიმონ კილაძემ**

## ტულსი გაბარდი: მსოფლიო უფრო ახლოსაა ბირთვული განადგურების ზღვართან, ვიდრე ოდესმე!




**მსოფლიო, როგორც არასდროს, ბირთვული განადგურების ზღვარზეა,** – ამის შესახებ აშშ-ის ეროვნული სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელმა **ტულსი გაბარდმა** განაცხადა.

ვიდეომიმართვაში გაბარდი „ომის წამქეზებლებს“ აკრიტიკებს. ტულსი გაბარდი დეტალურად აღწერს იაპონიის ქალაქ ჰიროშიმაში ბოლოდროინდელ ვიზიტს, რათა მეტი გაეგო მეორე მსოფლიო ომის დროს, 1945 წელს ქალაქზე აშშ-ის ბირთვული თავდასხმის შედეგების შესახებ. აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ რადგან დღევანდელი ბირთვული იარაღი უფრო ძლიერია, ვიდრე აშშ-ის მიერ 1945 წელს გამოყენებული და დღევანდელ ერთ ბირთვულ იარაღს შეუძლია მილიონობით ადამიანის მოკვლა სულ რაღაც წუთებში.

**„ეს არის რეალობა, თუ რა დევს სასწორზე, რის წინაშეც ახლა ვდგავართ. დღეს აქ ვდგავართ, ბირთვული განადგურების ზღვარზე უფრო ახლოს, ვიდრე ოდესმე, პოლიტიკური ელიტის ომის წამქეზებლები დაუდევრად აღვივებენ შიშს და დაძაბულობას ბირთვულ სახელმწიფოებს შორის. ჩვენზე, ხალხზეა დამოკიდებული, რომ ხმა ამოვიღოთ და მოვითხოვოთ ამ სიგიჟის დასრულება. ჩვენ უნდა უარვყოთ ბირთვული ომისკენ მიმავალი ეს გზა და ვიმუშაოთ ისეთი სამყაროს შესაქმნელად, სადაც არავის მოუწევს ბირთვული ჰოლოკოსტის შიშით ცხოვრება“,** – აღნიშნა ტულსი გაბარდმა.

გაბარდმა ასევე მიანიშნა, რომ გავლენიანი პირები დარწმუნებულები არიან, რომ მათ ექნებათ წვდომა „ბირთვულ თავშესაფრებზე“ და შესაბამისად, არანაირი შედეგი არ მოჰყვება მათთვის.






# მსოფლიო გამყინვარებას გადარჩენილები

**გამყინვარების ბოლო ეპოქიდან დაახლოებით 4000 წლის შემდეგ, მონადირე-შემგროვებლები კლიმატის უეცარი ცვლილების კიდევ ერთ შეტევას შეეჩეხნენ, რომელმაც ისინი აიძულა, სწრაფად მორგებოდნენ გაცილებით ცივ სამყაროს.**

**მიუხედავად იმისა, რომ არ იყო ისეთი მკაცრი და ხანგრძლივი, როგორც გამყინვარების ბოლო ეპოქის ფინალური ეტაპები, რომლებიც 11 700 წლის წინ დასრულდა – 8200 წლის წინანდელმა აცივების მოვლენამ მაინც გამოიწვია ის, რომ ათწლეულებში ტემპერატურა დაახლოებით 6°C-ით შემცირდა. ამავე პერიოდში, დაახლოებით შოტლანდიის ზომის ხმელეთის მასა ნორვეგიის კონტინენტურ შელფს მოსწყდა და სტორეგას მძლავრი ცუნამი გამოიწვია, რამაც საბოლოოდ გამოყო ბრიტანეთი ევროპისგან.**

ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევრის **რიკ შულტინგის** განცხადებით, ამ პროცესს ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ხალხი გადაურჩა; ნაწილი აიბარგა და გადასახლდა, ნაწილი კი ადგილზე დარჩა.

მეცნიერებს უკვე შესწავლილი ჰქონდათ, რა გავლენა იქონია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ხალხზე 8200 წლის წინანდელმა გამყინვარებამ, მაგრამ ამ კვლევათა უმეტესობა რეგიონული იყო. უფრო ფართო სურათის მისაღებად, შულტინგმა და მისმა კოლეგებმა ერთმანეთს შეადარეს ჩრდილო-დასავლეთ ევროპისა და სამხრეთ ციმბირის არქეოლოგიური და გარემოებითი ჩანაწერები.

არქეოლოგიურ ჩანაწერებს შორის არის მონადირე-შემგროვებელთა დიდი სამარხები და ადამიანთა და ცხოველთა რადიონახშირბადულად დათარიღებული თითქმის 300 ნაშთი ბაიკალის რეგიონიდან. ეს ყველაფერი შეაჯერეს მაღალი რეზოლუციის გარემოებით ჩანაწერებთან, მაგალითად, ტბის დანალექებში შემორჩენილ ყვავილის მტვერთან და ნახშირთან; ამან კი ცხადყო წარსულის ცვლილებები ვეგეტაციაში, კლიმატსა და ცეცხლის აქტიურობაში ათწლეულების დონის სიზუსტით.

შედეგები აჩვენებს, რომ 8200 წლის წინანდელ აცივებას ადამიანები ძლიერ სხვადასხვა გზებით მოერგნენ. მაგალითად, ნორვეგიის ოსლოს ფიორდში გაიზარდა დასახლებათა რაოდენობა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სანაპირო საზოგადოებები შეიძლება აღორძინდნენ, რადგან ჭამდნენ თევზს, სელაპებსა და მოლუსკებს, რომლებიც კლიმატის ცვლილების შემდეგაც სტაბილურად დარჩნენ.

ზუსტად ასე შეიძლება აეღორძინებინა ბაიკალის ტბის რესურსებს ადგილობრივი მოსახლეობა; თანაც იმდენად ძლიერ, რომ არქეოლოგებმა თითქმის ვერ იპოვეს 8200 წლის წინანდელი აცივებისადმი ადამიანთა რეაგირების კვალი.

თუმცა, ჩრდილო-დასავლეთ რუსეთში, ონეგის ტბის გარშემო შეინიშნება სამარხების რაოდენობის მკვეთრი მატება, რაც არ არის დაკავშირებული ნაადრევ ან მასობრივ სიკვდილიანობასთან; ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ადგილობრივი მონადირე-შემგროვებლები აცივების დროს იქ შეჯგუფდნენ – სავარაუდოდ, ისინი იქ თევზისა და ცხენირმების სიუხვემ მიიზიდა. ამასობაში, შოტლანდიის დასავლეთ სანაპიროზე, ხალხმა სანაპირო მეთევზეობის ცხოვრების სტილი მიატოვა და სავარაუდოდ უფრო სიღრმეში გადასახლდა სიცივისგან თავის დასაღწევად.

**„8200 წლის წინანდელი მოვლენა გვთავაზობს საუკეთესო „უარესი შემთხვევის სცენარის“ მოდელს უეცარი კლიმატური ცვლილებების შესასწავლად და იმის საჩვენებლად, როგორ შეუძლია გლობალურ დათბობას შეცვალოს ოკეანის დინებები და გამოიწვიოს დიდი სიცივეები“,** – ამბობს ჰელსინკის უნივერსიტეტის მკვლევარი **მიკაელ მანინენი.**

მისი განცხადებით, დღეს მიმდინარე გოლფსტრიმის დინების კოლაფსმა შეიძლება ასეთივე შედეგები მოიტანოს. ზუსტად ისე, როგორც 8200 წლის წინ, ადამიანებს შეიძლება დღესაც დასჭირდეთ ამით გამოწვეულ კრიზისთან ადაპტირების გზების გამონახვა.

ბელგიის ქალაქ გენტის უნივერსიტეტის მკვლევარმა ფილიპ გრომბემ დაადგინა, რომ ჯგუფის რეგიონული შედარებები „განსაკუთრებით ღირებულია“ როგორც ისტორიულად, ისე დღეისათვის.

**„თანამედროვე კლიმატის ცვლილებიდან ვიცით, რომ გარემოებითი გავლენები დრამატულად იცვლება ერთი რეგიონიდან მეორეში. ეს კვლევა აშკარას ხდის, რომ ასე იყო წარსულშიც“,** – ამბობს **გრომბე.**

შედეგებმა არა მხოლოდ ის ცხადყო, როგორ რეაგირებდა ხალხი კლიმატის ცვლილებაზე ისტორიულად, არამედ ასევე აჩვენა, რამდენად განსხვავებული იყო მათი ვარიანტები ჩვენგან.

**„ხალხს ნამდვილად არ აინტერესებს, 1 ან 2 გრადუსით მაღალი სიცხე ან სიცივე — იქამდე, ვიდრე ეს გავლენას არ მოახდენს წვიმის მახასიათებლებზე, ცხოველთა მიგრაციაზე, ხელმისაწვდომ მცენარეთა სახეობებზე. თუ შენ მონადირე-შემგროვებელი ხარ და შენი გარემო უცბად სასტიკი გახდება, შეიძლება უბრალოდ უმისამართოდ წახვიდე, მაგრამ ეს გაცილებით რთულდება, როცა გაქვს გზები, ქალაქები და მომარაგების ჯაჭვები. ამ სახის მობილობა ფუფუნებაა, რომელიც აღარ გვაქვს“,** – ამბობს კვლევის ავტორი, ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარი **რიკ შულტინგი.**

კვლევა Quaternary Environments and Humans-ში გამოქვეყნდა.



# სამშობლო გულში იხუტებს

**UFC-ის სუპერმსუბუქი დივიზიონის ჩემპიონი მერაბ დვალიშვილი მის მწვრთნელ ჯონ ვუდთან და MMA-ს ჟურნალისტ ნინა დრამასთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა, სადაც უამრავი გულშემატკივარი დახვდა. ქართველმა ჩემპიონმა მსვლელობით რიყის პარკისკენ გადაინაცვლა, გულშემატკივარს სიტყვით მიმართა, გადაიღო სურათები და საჩემპიონო ქამარი წარადგინა.**

ამ ყველაფრის შემდეგ ქართველი „მანქანა“ საპრესკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტებს შეხვდა, სადაც მათ შეკითხვებს უპასუხა.

**„საქართველოში დაბრუნებით ძალიან ბედნიერი ვარ. მინდა ნინას და ჩემს მწვრთნელ ჯონ ვუდს ჩვენი ქვეყანა ვანახო, წავიდეთ კახეთში, გურიაში და რაც შეიძლება მეტი ადგილის სანახავად, რათა გავაცნო ქართული კულტურა და სტუმართმოყვარეობა.“**

## აშშ-ს პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან საუბარი

**„რა თქმა უნდა ტრამპთან საუბრისას ჩვენი ქვეყანა ვახსენე, დავუდასტურე მას ჩემი და საქართველოს პატივისცემა. ჩვენს შორის მოკლე დიალოგი გაიმართა. მან ჩემი ბრძოლა შეაქო. სულ ეს იყო.“**

## წონის ცვლილებაზე

**„არ ვაპირებ წონის შეცვლას. მინდა ჩემი დივიზიონი გავწმინდო და გავასუფთაო. ამ ყველაფერთან ერთად ზედა წონაში ჩემპიონი ვოლკანოვსკია, რომელსაც დიდ პატივს ვცემ და მასთან ჩხუბი არ მინდა“.**

## ალექსანდრე თოფურიასთან შესაძლო ჩხუბზე

**„ალექსანდრესთან ჩხუბს არ ვაპირებ. თუ ჩემი და მისი გზები გადაიყარა, მზად ვარ საჩემპიონო ქამარი დავუთმო.“**

## უმარ ნურმაგომედოვთან შესაძლო რემატჩზე

**„არ არსებობს, უმართან რემატჩი არ განიხილება. ჯერ ვინმეს უნდა მოუგოს. პირველი ბრძოლაც მხოლოდ იმიტომ მისცეს, რომ ხაბიბ ნურმაგომედოვის ბიძაშვილია.“**

## პოლიტიკაში შესაძლო წასვლაზე

**„პოლიტიკას არასდროს შევეხები, ეგ ჩემი საქმე არ არის, ისევე როგორც ჩემგან არც მსახიობი და არც ბიზნესმენი არ გამოვა, რადგან უბრალოდ გავკოტრდები.“**

შეგახსენებთ, რომ მერაბ დვალიშვილმა UFC 316-ზე შონ ო'მალი რემატჩშიც დაამარცხა, ქართველმა მესამე რაუნდის ბოლოს ნინჯა ჩოუქით მოიგო და UFC-ის Pound for Pound-ის რეიტინგში მეორე ადგილზე გადაინაცვლა.



# სვანაძის სცენარით

**როგორც ამავე გვერდზე წაიკითხეთ, 11 ივნისი სამშობლოში ოქტაგონის გმირის მერაბ დვალიშვილის დაბრუნებით დაიწყო, დაუვიწყარი დღე კი 21-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრების ევრო-2025-ზე შესანიშნავი სტარტით დაგვირგვინდა.**

ზედიზედ მესამე ზაფხულია, როგორც უფროს, ისე უმცროს ჯვაროსანთა ქომაგებს სამშობლოსა თუ უცხოურ სტადიონებზე თანამემამულეთა ღირსეული თამაში სიამაყით გვავსებს და ისეთი პირი უჩანს, გამონაკლისი არც სლოვაკური ფორუმი უნდა იყოს.

**საქართველო-პოლონეთი 2:1**

**პირველი ტაიმი 0:0**

გოლები: ლომინაძე, გორდეზიანი; კუბუშინსკი (პენალტით)

ფიზიკური კონდიციებით გამორჩეულ მეტოქეს ისტორიაში მეშვიდედ შევხვდით და მეორედ დავამარცხეთ, არადა **გოგლიჩიძის, ლაცაბიძისა** და **უგრეხელიძის** ტრავმებით დაცვის ცენტრში გაჩენილი ნაპრალი, ახლადგამოჯანმრთელებული საზონოვის ფაქტორის გათვალისწინებით, დიდ თავსატეხს უჩენდა **რამაზ სვანაძეს,** რასაც გუნდის ერთ-ერთი დაშავებული ლიდერის **ლომინაძის** იძულებითი ცვლილება დაემატა კრიტიკულ ვითარებაში.

ისიც სათქმელია, რომ დებიუტში პოლონელთა მარცხენაფლანგელი ფლორინეკი კარგად სარგებლობდა მოგვიანებით უეფას მიერ MVP დასახელებული მაისურაძის ნერვიულობით და ორჯერ ხიფათისგან ძელმა გვიხსნა, მაგრამ თანდათან ბიჭები დალაგდნენ, საკუთარ ტაქტიკურ სქემას მიაგნეს და შესვენების შემდეგ ბრძოლაში ჩაბმული „რეზერვისტების“ ძალისხმევით ისეთი ჩხვლეტები განახორციელეს, ახალგაზრდა სპეციალისტის თავკაცობით უკანასკნელ სეზონებში სტაბილურად რომ გვანებივრებენ.

**საფრანგეთი-პორტუგალია 0:0.**

**ხვალ, 23 საათზე, ითამაშებენ: საქართველო-საფრანგეთი.**

# ნამდვილად ეკუთვნით

**ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული „პარი სენ-ჟერმენი“, რომლის ღირსებასაც ხვიჩა კვარაცხელია იცავს, ახალი სტადიონის მშენებლობას იწყებს, რომელიც 90.000 გულშემატკივარს დაიტევს.** აღნიშნულ ინფორმაციას ფრანგული გამოცემა Le Monde ავრცელებს.

წყაროს ცნობით, კლუბმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც პარიზის მერმა ნასერ ალ-ხელაიფის „პარკ დე პრენსის“ რეაბილიტაციაზე და იერსახის შეცვლაზე უარი განუცხადა.

პსჟ „პარკ დე პრენსზე“ 1974 წლიდან თამაშობს, რომელიც პარიზის მერიის საკუთრებაშია. კლუბი მის ქირაობაში წელიწადში 1.5 მილიონს იხდის.

როგორც ცნობილი ხდება, პსჟ-ს ახალი სტადიონის ასაშენებლად ორი ვარიანტი აქვს – ერთია მასი, პარიზის სამხრეთ გარეუბანში მდებარე კომუნა, ხოლო მეორე პუასი, სადაც კლუბის ფეხბურთელები ამჟამად ვარჯიშობენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი კლუბის პრეზიდენტმა **ნასერ ალ-ხელაიფმაც** გააკეთა:

**„ახალი სტადიონის აშენება და ქონა ახირება ნამდვილად არ გახლავთ. დიდი ევროპული გუნდები ამ მოდელით მოქმედებენ და ჩვენ არ გვინდა ამ ყველაფერს ჩამოვრჩეთ. პარკ დე პრენსის შეძენა შეუძლებელია და ეს არ შეიცვლება მანამ, სანამ თვითმმართველობა არ შეიცვლება. ჩვენ კი არ გვსურს დიდი დრო დავკარგოთ, რადგან 3-4 წელიწადში კონკურენტები ჩვენზე გაცილებით წინ იქნებიან.“** – თქვა **ხელაიფმა.**

**ცნობისთვის: პარიზელებს ახალი სტადიონის მშენებლობა წინასწარი ინფორმაციით 1 მილიარდი დოლარი დაუჯდებათ და ის 3-4 წელიწადში დასრულდება. აქვე გაუწყებთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფისთვის ფრანგულმა გრანდმა უეფასგან დაახლოებით 150 მილიონი ევრო გამოიმუშავა.**

# სექტემბერში – იტალიაში

**სექტემბრის დასაწყისში „შავი ლომი“ იტალიურ ტურნეზე გაემგზავრება და ადგილობრივ ფრენჩაიზებთან – „ძებრესა“ და „ბენეტონთან“ ამხანაგურ თამაშებს გამართავს.**

„ძებრე“ და „ბენეტონი“ ირლანდიურ, უელსურ, შოტლანდიურ და სამხრეთაფრიკულ კლუბებთან ერთად რაგბის გაერთიანებულ ჩემპიონატში თამაშობენ, რომელში მოხვედრაც „შავი ლომის“ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს.

პირველი თამაში 6 სექტემბერს „ძებრესთან“ პარმაში, „სერჯიო ლანფრაკიზე“ გვექნება, რომელიც ამ გუნდის საშინაო არენაა და 5 ათას მაყურებელს იტევს. „ძებრეს“ წინამორბედი გუნდი 1973 წელს დაარსდა, 1997 წელს დაიშალა, 2012 წლის ივნისში კი უკვე იტალიის რაგბის ფედერაციის პატრონაჟით, პროფესიონალური ფრენჩაიზის სახით აღდგა და იმავე წელს რაგბის გაერთიანებულ ჩემპიონატში (იმხანად პრო12, მოგვიანებით პრო14) და ევროპის პროფესიულ საკლუბო რაგბის ტურნირებში (ჩემპიონთა და ჩელენჯ თასი) ჩაერთო.

„ძებრე“ იტალიის 4 რეგიონს აერთიანებს – ემილიო-რომანია, ლიგურია, ლომბარდია და პიემონტი, რომელიც რამდენიმე სარაგბო კლუბს და 10-ათასობით მოთამაშეს მოიცავს.

რაგბის გაერთიანებული ჩემპიონატის ბოლო სეზონში „ძებრემ“ 18-იდან 5 თამაში მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და 29 ქულით ბოლოსწინა მე-15 ადგილი დაიკავა. 2012 წლიდან დღემდე, მან 3-ჯერ ითამაშა ჩემპიონთა თასზე, 10 სეზონი კი ჩელენჯ თასზე გაატარა, სადაც ორჯერ გადალახა ჯგუფური ეტაპი.

12 სექტემბერს იტალიის პირველ ფრენჩაიზს, ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდ „ბენეტონს“ ტრევიზოში, „კომუნალე დი მონიგოზე“ ვერკინებით, რომელიც ასევე 5 ათას გულშემატკივარზეა გათვლილი.

„ბენეტონი“ 1932 წელს დაარსდა და თავდაპირველად იტალიის ჩემპიონატში თამაშობდა. 1995 წლიდან ის პროფესიონალურ გუნდად იქცა და 2010 წლამდე იტალიის ჩემპიონატში დომინირებდა. დაარსების დღიდან 2010 წლამდე გუნდმა 15-ჯერ მოიპოვა იტალიის ჩემპიონის ტიტული, საიდანაც 10 1997-2010 წლების პერიოდზე მოდის.

1995 წლიდან „ბენეტონი“ ჩემპიონთა თასში (იმჟამად ჰეინეკენის თასი) ჩაერთო, 2010 წლიდან კი იტალიის ჩემპიონატი დატოვა და მას შემდეგ რაგბის გაერთიანებულ ჩემპიონატში გამოდის, სადაც ორჯერ დაიკავა მე-7 ადგილი. გასულ სეზონში გუნდმა 18-იდან 9 თამაში მოიგო, 1 ფრედ დაასრულა, 46 ქულით მე-10 ადგილი დაიკავა და 2 ქულა დააკლდა მეოთხედფინალში გასვლამდე. ჩემპიონთა თასის გასულ სეზონში „ბენეტონმა“ ჯგუფური ეტაპი გადალახა და მე-16-ედ ფინალში „კასტრთან“ 37:39 დამარცხდა.

ევროთასებზე, კერძოდ ჩელენჯ თასზე, „ბენეტონს“ საუკეთესო შედეგი 2022-23 და 2023-24 წლების სეზონებში ჰქონდა. ორივე შემთხვევაში მას ფინალამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა და ნახევარფინალში ჯერ ფრანგულ „ტულონთან“ (0:23), მერე კი ინგლისურ „გლოსთერთან“ (23:40) დამარცხდა.

# ევროპის სახელით!

**სპორტული ზაფხული შესანიშნავად დაიწყეს აღმოსავლური ორთაბრძოლების ქართველმა ოსტატებმა. მეტიც – კონტრაქტურ კარატეში ნავსი გატეხეს და იაპონიიდან მსოფლიოს ჩემპიონატის გრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ.**

უმაღლესი რანგის ფორუმზე მოხვეჭილი პირველი მსგავსი წარმატების ავტორია **მინდია მგელაძე,** რომელმაც ამომავალი მზის ქვეყანაში გამგზავრებამდე მოგებული შესარჩევი ტურნირების შედეგად აზიაში ევროპის სახელით იასპარეზა. ალბათ, ტრიუმფსაც მივულოცავდით, მაგრამ თანაბარ ნახევარფინალში მსაჯებმა უპირატესობა მასპინძელს მიანიჭეს.



# პირველი მერცხალი



**პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ხუთჭიდელი გიორგი ცხადაძე მსოფლიოს თასის ფინალშია! ინფორმაციას სპორტის სამინისტრო ავრცელებს.**

მსოფლიოს თასის ფინალში მოსახვედრად ცხადაძემ წარმატებით იასპარეზა ეგვიპტის, უნგრეთისა და ბულგარეთის ეტაპებზე. ბოლო ეტაპის დასრულების შემდეგ ხუთჭიდის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა 36 საუკეთესო ქალი და 36 საუკეთესო მამაკაცი სპორტსმენის სია, რომლებიც მსოფლიოს თასის ფინალში გამოვლენ. ამ სიაშია გიორგი ცხადაძეც, რომელიც 25-ე ადგილს იკავებს.

ფინალური ეტაპი 4-6 ივლისს ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში გაიმართება. აღსანიშნავია, რომ გიორგი ჯერ კიდევ იუნიორია და 20 წლის ასაკში ცდის ძალებს ამ უდიდეს ღონისძიებაზე. თასის ფინალამდე გიორგი ასევე იასპარეზებს იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც ივნისის ბოლოს უნგრეთშია დანიშნული.

# ზედიზედ მეშვიდედ!

**სპორტის სათამაშო სახეობებიდან წყალბურთი რეკორდსმენი გახდა უმაღლესი რანგის ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობის თვალსაზრისით.**

ეს თბილისში მოხდა, სადაც საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ზედიზედ მეშვიდედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ფინალური რაუნდის საგზური (სერბეთი, 2026 წლის 10-25 იანვარი).

სასტარტო შეხვედრაში ბულგარელთა „ჩაძირვის“ (41:10!) შემდეგ ვივარაუდეთ, რომ დაახლოებით იგივე ელოდა შვეიცარიის გუნდსაც. ასეც მოხდა – 29:5 და ისრაელის მსგავსად ვადამდე შევასრულეთ პროგრამა – მინიმუმი.

**ყველაზე შედეგიანები:** ახვლედიანი, მაგრაქველიძე, დადვანი – 4-4 გოლი.

**გუშინ:** საქართველო – ისრაელი 19:9.

ირანის უსაფრთხოების სამსახური:

# აშშ ან სიონისტური რეჟიმი აგრესიის რაიმე აქტს თუ შეეცდება, ისინი მოულოდნელობის წინაშე აღმოჩნდებიან!



**ირანი ამჟამად სამხედრო მზადყოფნის უმაღლეს დონეზეა და შეერთებული შტატები ან სიონისტური რეჟიმი აგრესიის რაიმე აქტს თუ შეეცდება, ისინი მოულოდნელობის წინაშე აღმოჩნდებიან, – ამის შესახებ ირანის უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა განაცხადა.**

ირანის უსაფრთხოების სისტემის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ამერიკელების ქმედებები არ არის ირანის მიმართ მუქარის გზავნილი, არამედ რეაქციაა ირანის მხრიდან მათი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ მუქარაზე. ეს განცხადებები მას შემდეგ გაკეთდა, რაც შეერთებულმა შტატებმა დასავლეთ აზიის რეგიონიდან თავისი პერსონალის ნაწილობრივი ევაკუაცია დაიწყო.

11 ივნისს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ბაღდადში მდებარე საელჩოდან არასაგანგებო პერსონალის გაყვანა ბრძანა და ბაჰრეინის, ქუვეითისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების ბაზებიდან სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებს ნებაყოფლობითი გამგზავრების უფლება მისცა. პარალელურად, „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ ხელმძღვანელი, გენერალ-მაიორი ჰოსეინ სალამი აცხადებს, რომ ირანი სრულად მზადაა, უპასუხოს ნებისმიერ საფრთხეს.

# ინდოეთში ავიაკატასტროფის დროს მხოლოდ ერთი მგზავრი გადარჩა



**ინდოეთში ავიაკატასტროფის დროს ერთი მგზავრი, 40 წლის ვიშვაშ კუმარ რამეში გადარჩა. ინდური მედიის თანახმად, გადარჩენილი მგზავრი აცხადებს, რომ აფრენიდან ოცდაათი წამის შემდეგ ძლიერი ხმაური გაისმა და თვითმფრინავი ჩამოვარდა.**

ბრიტანეთის მოქალაქე ვიშვაშ კუმარ რამეში რამდენიმე დღით ინდოეთში ოჯახის მოსანახულებლად იმყოფებოდა და დიდ ბრიტანეთში ბრუნდებოდა. ის 20 წელია ბრიტანეთში ცხოვრობს.

ინდური მედია წერს, რომ გადარჩენილმა მგზავრმა „დარტყმითი დაზიანებები“ მკერდზე, თვალებსა და ფეხებზე მიიღო.

**„როდესაც ავდექი, ჩემ გარშემო ყველგან გვამები იყო. შემეშინდა, ავდექი და გავიქეცი. ჩემ გარშემო ყველგან თვითმფრინავის ნამსხვრევები იყო. ვიღაცამ ხელი მომკიდა, სასწრაფო დახმარების მანქანაში ჩამსვა და საავადმყოფოში წამიყვანა“,** – განაცხადა ***ვიშვაშ კუმარ რამეშმა.***

ავიაკომპანიის ინფორმაციით, ბორტზე იმყოფებოდა ინდოეთის 169 და ბრიტანეთის 53 მოქალაქე. ასევე, მგზავრებს შორის ერთი კანადელი და შვიდი პორტუგალიელია.

ავიაკომპანია Air India-ს სამგზავრო თვითმფრინავმა კატასტროფა გუშინ ინდოეთის ქალაქ აჰმედაბადში განიცადა. თვითმფრინავი – Boeing 787-8 Dreamliner დასავლეთ ინდოეთის ქალაქის აეროპორტიდან აფრინდა და რამდენიმე წუთში, საცხოვრებელ რაიონში ჩამოვარდა.

მანამდე ადგილობრივმა პოლიციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ აჰმედაბადში თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად, სავარაუდოდ, ბორტზე მყოფი ყველა ადამიანი დაიღუპა.



# სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტები

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ,** გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მიმდინარე წლის მაისის თვეში, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 16 პირის მიმართ.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა 2017-2021 წლებში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, მოტყუებით დაირეგისტრირეს საერთო ჯამში 21 632 მ2 ფართობის 12 მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო საბაზრო ღირებულება 800 000 ლარს აღემატება.

გამოძიების პროცესში, დაყადაღებულ იქნა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული მიწის ნაკვეთები. მიმდინარეობს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები მათი სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების მიზნით.

# ქართველებს 10 მილიონი დოლარის ღირებულების კოკაინი გადაჰქონდათ!

**პოლონეთში დიდი ოდენობის ნარკოტიკების შეტანის ბრალდებით საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს.** პროკურატურის ინფორმაციით, კოკაინი ავტომობილის ნაწილებით სავსე ტვირთში ჰქონდათ დამალული.

ამოღებულია 100 კილოგრამზე მეტი კოკაინი, რომლის დაახლოებითი საბაზრო ღირებულება 10 მილიონ აშშ დოლარზე მეტია. ქართველებს 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მათ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

სანთელი

# ალექსანდრე ტალიაშვილის არდავიწყება



**ორმოცი დღე გავიდა ჩვენი მეგობრის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორის, სამართლის დოქტორის, აკადემიური საბჭოს წევრის ალექსანდრე ტალიაშვილის გარდაცვალებიდან.**

**სხვადასხვა დროს ალეკო იყო თბილისის 26 კომისრების რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე, შემდეგ – პროკურორი, თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი, იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი.**

**ხელი არ გვემორჩილება და ვერ წარმოგვიდგენია, რომ ჩვენს ალეკოზე მოგონება ან გამოსათხოვარი დავწეროთ. წარმოუდგენელია, რომ ასეთი გულანთებული ქართველი, უერთგულესი მეგობარი, სულითა და ხორცით ლამაზი ადამიანი აღარ არის ჩვენ გვერდით. კაცი, რომელიც დააკლდა ოჯახს, სამეგობროს, სამეცნიერო საზოგადოებას და კაცი, რომელიც მართლა დააკლდა ქალაქს!**

**ალეკოსთან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებდა. ის სწორედ მეგობრობისთვის, სიყვარულისთვის, სითბოსთვის, მოფერებისთვის და სიკეთისთვის იყო დაბადებული და ამას ყოველ შეხვედრაზე გვაგრძნობინებდა. უზომოა მისი დამსახურება ჩვენი მრავალწლიანი მეგობრობის ჩამოყალიბებაში და განმტკიცებაში.**

**თითოეულ ჩვენგანში ალეკო მარად დარჩება როგორც ნიჭიერების, განათლების, თავმდაბლობის, გულწრფელობის, ზნეობის, პირდაპირი და უანგარო მეგობრობის განსახიერება.**

**გვაჯობა სიკვდილმა, მაგრამ გვჯერა, ზეციური საქართველო ღირსეულ პატივს მიაგებს და ნათელში ამყოფებს ჩვენი საამაყო მეგობრის ალეკო ტალიაშვილის სულს.**

**მეგობრები**



**იური, რუსიკო, გუგა და კოკი ოსიპოვ-ჭავჭანიძე ოჯახებით, მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი და ოჯახის უახლოესი ადამიანის**

## ჯემალ კალანდაძის

**გარდაცვალებას.**

---

**მეგობრები: ლ.ჯიბუტი, ი.ოსიპოვი, გ. ცაგარელი, ა. გოგელია, ზ. ცქიტიშვილი, ზ. კუპრაშვილი, თ, ხორხომელიძე, ა. ოღლიშვილი, ვ. ვეფხვაძე, ზ.ფაღავა, ფ. სულაბერიძე, თ. კიკალიშვილი, თ. ურთმელიძე, ო. კაჭარავა, მ. დოლიძე გულისტკივილით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, თანამოაზრის და ღირსეული ადამიანის**

## ჯემალ კალანდაძის

**გარდაცვალებას.**

# მორის ფოცხიშვილი – ამღერებული ტალანტი



**95 წელი შესრულდა ქართველი პოეტის მორის ფოცხიშვილის დაბადებიდან. საქართველოს კულტურის სამინისტრო პატივს მიაგებს მორის ფოცხიშვილის ხსოვნას, ქართული პოეზიისა და, ზოგადად, ეროვნული კულტურის წინაშე მის უდავო დამსახურებას.**

„მისი ბიოგრაფია სულ რამდენიმე სტრიქონში გადმოიცემა:

დაიბადა თბილისში, 1930 წლის 11 ივნისს. 1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებაში". იყო ჟურნალ „ცისკრის" მთავარი რედაქტორი, გამომცემლობა „ნაკადულისა" და წიგნის პალატის დირექტორი.

სამაგიეროდ, ძალიან ვრცელია მის ლექსებზე შექმნილი სიმღერების ჩამონათვალი, რის შესახებაც ნოდარ დუმბაძე აღფრთოვანებული წერდა: **„მორის ფოცხიშვილი, ქარაგმულად თუ ვიტყვით, „ამღერებული ტალანტია". ხალხი მის თითქმის ყველა ლექსს მღერის".**

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ამაგი დასდო პოეტმა ქართულ კინოს. გიორგი შენგელაიას **„ვერის უბნის მელოდიები" ამის თვალსაჩინო მაგალითია.**

მორის ფოცხიშვილი არაჩვეულებრივი ლირიკოსია. იმავე ნოდარ დუმბაძის თქმით, **„მას აქვს ლექსები, რომელთა არც მოყოლა შეიძლება და არც მღერა. ისინი ჩუმად უნდა იკითხო,** შენთვის".

ასეთ პოეტს შეეძლო, ეთქვა: **„ჩანგი ჩემი – ქართული, ქრისტე ღმერთის ნათლული".**

**ამიტომაც შეუსრულეს ანდერძი, რომლის თანახმადაც, მცხეთის სამთავროს მონასტრის ღვთაებრივ ეზოში განისვენებს",** – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



# საქართველოს უნიკალური ბუნებით ვიზიტორთა ინტერესი იზრდება

**2025 წლის 5 თვის განმავლობაში, საქართველოს დაცულ ტერიტორიებს 243 777 ვიზიტორი ეწვია. ვიზიტორთა შორის – 40% ქართველი, ხოლო 60% სხვა ქვეყნის მოქალაქეა.**

დაცული ტერიტორიების ინფორმაციით, ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა: **პრომეთეს მღვიმეს, მარტვილის კანიონს, სათაფლიას, ნალკის კანიონს, მტირალას ეროვნულ პარკს.**

აღნიშნული მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს ვიზიტორთა მზარდ ინტერესს საქართველოს უნიკალური ბუნების მიმართ. დაცული ტერიტორიების სააგენტო განაგრძობს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და სერვისების განვითარებას, რაც ხელს უწყობს მარტივ და კომფორტულ მოგზაურობას და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას.

მიმდინარე წელს, განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის ეროვნული პარკის, ასევე ბირთვისის კანიონის ბუნების ძეგლის განვითარების პროექტები. აღნიშნული პროექტები წლის ბოლომდე დასრულდება და ვიზიტორებს კეთილმოწყობილი და უსაფრთხო მცირე ინფრასტრუქტურით უმასპინძლებს.

# ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები" 80 წლისაა




**ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები" 80 წლისაა. საქართველოს კულტურის სამინისტრო ულოცავს „სუხიშვილებს" საიუბილეო წელს და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.**

**„1945 წლის 11 ივნისს ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით დაარსებულმა დასმა სახელმწიფო ანსამბლის სტატუსით პირველი კონცერტი გამართა.**

**დღეს ქართულ ნაციონალურ ბალეტს სათავეში უდგანან მისი შთამომავლები – უმცროსი ილიკო და ნინო სუხიშვილები, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ დიდი ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის დაწყებულ საქმეს.**

**ქართულ ნაციონალურ ბალეტს განხორციელებული აქვს ორასზე მეტი ტურნე მსოფლიოს ხუთი კონტინენტის 88 ქვეყანაში. მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ თეატრალურ და საკონცერტო სცენებზე გამართულ ბალეტის წარმოდგენებს მილიონობით მაყურებელი დაესწრო",** – ნათქვამია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ქალი მხატვრების გამოფენა... აეროპორტში

**თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მმართველი კომპანიის, ტავ ჯორჯიას ორგანიზებით გაიმართა გამოფენა სახელწოდებით Women's ART day at Tbilisi International Airport. ღონისძიების მიზანი მხატვარი ქალების შემოქმედების პოპულარიზაცია და მათი ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა იყო.**

ასევე, ექსპოზიციაში წარმოდგენილია თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების ბენეფიციარ ქალთა ნამუშევრები. გამოფენის ორგანიზებაში ჩართული იყო ასევე სამხატვრო გალერეა „გამრეკელი". ქალი მხატვრების ხელშეწყობის მიზნით რამდენიმე ნამუშევარი თავად კომპანია ტავ ჯორჯიამ შეიძინა.



მთელი დღის განმავლობაში, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გამოფენილი იყო 50-ზე მეტი ნამუშევარი, რომელთა შეძენაც და თან წაღებაც აეროპორტის ნებისმიერ მგზავრს შეეძლო.

**„ექსპოზიციაში ყველაზე დიდი წილი ქალ სტუდენტებს უკავიათ. ტავ ჯორჯიამ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან პარტნიორობით სტუდენტური კონკურსი გამოაცხადა. შერჩეული ნამუშევრები კი Women's ART day at Tbilisi International Airport-ის ექსპოზიციაში მოხვდა. დაინტერესება და აქტივობა სტუდენტთა მხრიდან მაღალი იყო. კონკურსში მონაწილეობა სამხატვრო აკადემიის 100-მდე სტუდენტმა მიიღო.**

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობი ღონისძიების ორგანიზების პარალელურად ტავ ჯორჯია მემორანდუმებს აფორმებს აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან და თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებასთან.

ტავ ჯორჯია უკვე 20 წელია საქართველოში ოპერირებს და ამ პერიოდის განმავლობაში ბევრი სოციალური პროექტის ინიციატორი და პარტნიორი იყო. საქველმოქმედო და სოციალური აქტივობებისთვის ბოლო 10 წლის განმავლობაში კომპანიას 3 მილიონ ლარამდე აქვს დახარჯული.

# ქუთაისი გემო ფესტს მასპინძლობს

**გემო ფესტი ქუთაისში ბრუნდება. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, გასტრონომიული ფესტივალი იმერეთში გაიმართება.**

ქუთაისში, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის სკვერში, ქუთაისელებსა და ქუთაისის სტუმრებს საშუალება ექნებათ, სამი დღის განმავლობაში დააგემოვნონ როგორც ტრადიციული, ასევე იშვიათი და ნაკლებად ცნობილი იმერული კერძები.




**ფესტივალში იმერეთიდან 50-მდე ღვინის, კვების და სამეწარმეო ობიექტი მიიღებს მონაწილეობას. მოეწყობა კვების სივრცეები, სამეწარმეო და ღვინის ბაზარი, გასართობი სივრცეები და ფოტოზონები. გემო ფესტის ფარგლებში გაიმართება კონცერტი.**

ფესტივალის მიზანია რეგიონებში ადგილობრივი სამზარეულოს პოპულარიზაცია, მეწარმეების/ოჯახების ხელშეწყობა, შიდა და საერთაშორისო მოგზაურების ნაკადების ზრდა. გემო ფესტი იმერეთის მხარდამჭერები არიან ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია და კომპანია „ბორჯომი".

ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაზელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგებეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში"**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 16 ივნისს**